# ლელო

№ 18
(11 986)

10 – 13 მარტი, 2006 წ.

ფასი 40 თ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან • გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში: http://www.opentext.org.ge/lelo


პრესკონფერენცია

## გწამდეთ, ძიუდო კვლავ გვასახელებს...

სპორტის ნებისმიერ სახეობაში, მით უფრო, თუ საქმე გვაქვს ნაკრებთან, მეტნაკლები სირთულით ყოველთვის იჩენს ხოლმე თავს გარკვეული სიძნელეები. არც ძიუდოს ეროვნული ფედერაციაა გამონაკლისი. მაგრამ რომ ვეჭვობდით ესა თუ ის პრობლემა ძიუდოშიც შეიძლებოდა კრიზისში გადაზრდილიყო, მალე ვიგებთ ცნობას სირთულეთა მოგვარების თაობაზე. ამას კი განაპირობებს ფედერაციის ხელმძღვანელთა ერთი გუნდის პრინციპით მუშაობის პრაქტიკა. თანამოაზრეებში ხომ პრობლემები შედარებით იოლად გვარდება.

რა გვიჩვენა ერთი კვირის წინათ პრაღაში გამართულმა ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირმა, საით მივდივართ და რას უნდა ველოდეთ ევროპის წლევანდელი ჩემპიონატისგან? ამ საკითხს მიეძღვნა გუშინ, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტში გამართული პრესკონფერენცია. გახსოვთ, ალბათ, ტურნირი პრაღაში, „მსოფლიო თასის“ ეგიდით ჩატარდა და მით უფრო სასახელოა ჩვენი ნაკრების წევრების მიერ ყველა სინჯის მედლის მოპოვება (თითო — ოქრო და ვერცხლი, ხუთი — ბრინჯაო).

პრესკონფერენციაზე პირველმა სიტყვა აიღო ტურნირზე ჩვენი სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელმა, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარემ **დავით ნამგალაურმა.**

„პრაღაში მოწოდების სიმაღლეზე იასპარეზა ჩვენმა ნაკრებმა. ამ ტურნირს მე დავარქმევდი ჩვენთვის ახალი გუნდის ჩამოყალიბებისა და შემოწმების ასპარეზს. წლის დასაწყისისთვის თავჩენილი სანაკრებო პრობლემები მოიხსნა დღის წესრიგიდან. ახლა ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდის. გამოჩნდა ახალი, საიმედო თაობა“ — თქვა დ. ნამგალაურმა.

ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **შოთა ხაბარელმა** ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მიმდინარე წლის ამ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ოფიციალურ შეჯიბრებაში მან კარგად დაინახა განახლებული გუნდის პოტენცია და გაუღრმავდა რწმენა, რომ ევროპის ჩემპიონატისთვის შესაძლებელი იქნება ნაკრების უძლიერესებით დაკომპლექტება.

ევროპის ჩემპიონატამდე წინ კიდევ სამი ტურნირია, ჯერ როტერდამში, შემდეგ პორტუგალიაში და ბოლოს — მოსკოვში. მთავარმა მწვრთნელმა ისიც აღნიშნა, რომ გაჩნდა ჯანსაღი კონკურენციის შესაძლებლობა თითოეულ წონაში, რაც კარგია და მისასალმებელი. შემდეგ დაახასიათა თითოეულ წონაში პოტენციური კონკურენტები და მათი შესაძლებლობები. „ასე რომ, თამამად შემიძლია ვთქვა, ყველა წონით კატეგორიაში იმედიანად ვართ“ — დაასრულა შოთა ხაბარელმა.

ქვეყანაში ძიუდოს მდგომარეობისა და ნაკრებთან დაკავშირებული საკითხების თაობაზე ისაუბრა თავის გამოსვლაში ფედერაციის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა **შენგელი ფიცხელაურმა.**

პრესკონფერენციის მონაწილეებმა უპასუხეს ჟურნალისტთა შეკითხვებს.

პრესკონფერენციას ნაკრების წევრებიდან ესწრებოდნენ პრაღის ტურნირში გამარჯვებული **დავით ქევხიშვილი,** მეორე პრიზიორი **ზაზა კედელაშვილი** და ბრინჯაოს მედალოსანი, ვეტერანი ფალავანი, 2002 წლის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედლის მფლობელი **ნესტორ ხერგიანი.**

თენგიზ თომაშვილი.

## ქალთა დაფასების ტრადიცია

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი (თავმჯდომარე **დ. ნამგალაური**), სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა პროფკავშირი (თავმჯდომარე **ი. ბეჟაშვილი**)



დამკვიდრებული ტრადიციით, მარტის პირველ დეკადაში, განსაკუთრებულ პატივს მიაგებს ამ სფეროში დასაქმებულ ქალბატონებს, ვეტერანებს. მარტის პირველი დეკადა ვთქვით იმიტომ, რომ ამ პერიოდში აღინიშნება როგორც დედის დღე, ისე ქალთა საერთაშორისო დღე.

მოწვეულ ქალბატონებს მიესალმნენ ი. ბეჟაშვილი, დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე **გ. გალდავა**, ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე პროფესორი **შ. ბუაძე,** გაზეთ „ლელოს“ მთავარი რედაქტორი, პროფესორი **თ. გაჩეჩილაძე.** ქალბატონების სახელით მადლობა გადაიხადა ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ქეთევან ლოსაბერიძემ.**

თითოეულ ქალბატონს ყვავილებთან ერთად გადაეცა ფასიანი საჩუქარი.

„ლელო“ – „გუმათი“

## ისევ სოფიკო ტერელაძე

როგორც „ლელოს“ წინა ნომერში ვწერდით, თბილისის ქალ მოჭადრაკეთა ბლიცტურნირი დედის დღესთან დაკავშირებით მრავალშვილიანმა სოფიკო ტერელაძემ მოიგო. შემდეგ თბილისის ჭადრაკის ფედერაციამ მეორე ბლიცტურნირიც ჩაატარა ქალებისთვის, ახლა უკვე 8 მარტთან დაკავშირებით. ამჯერადაც უძლიერესის სახელი სოფიკო ტერელაძემ მოიპოვა და დაამტკიცა, რომ დღეს ის მართლა უძლიერესია და ჭადრაკისთვისაც იცლის, თუმცა, 5 შვილის დედაა. მეორე ადგილზე გავიდა **სოფიო გვეტაძე,** მესამეზე კიდევ ერთი თანამოსახელე — **სოფიო ხუხაშვილი.**

გაიმართა აგრეთვე ამხანაგური მატჩი **ნონა გაფრინდაშვილსა** და **მაია ლომინეიშვილს** შორის, რითაც საფუძველი ჩაეყარა კარგ ტრადიციას. ოთხი 10-10 წუთიანი პარტია დასრულდა ფრედ 2-2. აქაც ყაიმი დაფიქსირდა, მაგრამ, ვინაიდან ნონას თეთრი ფერით მოსაფიქრებლად 6 წუთი ჰქონდა, ლომინეიშვილს შავებით — 5 წუთი, გამარჯვება მაიას მიეკუთვნა.

## ვაზუსტებთ!..

„ლელოს“ წინა ნომერში გაგაცანით მოსკოვში ევროპის ჩემპიონატში ჩვენი სპორტსმენების გამოსვლის შედეგები პნევმატური იარაღიდან სროლაში... გუშინ რედაქცია დაუკავშირდა საქართველოს სროლის ეროვნული ფედერაციის გენერალურ მდივანს **გივი ბოსტოღანაშვილს** და სთხოვა მეტი სიცხადე შეეტანა მოსკოვიდან თავის დროზე მიღებულ ინფორმაციაში, რომელმაც ეჭვები დაბადა.

„დიდი არაფერია, მაგრამ სპორტს სიზუსტე უყვარს. მე ხელთა მაქვს ჩემპიონატის ოქმები, სადაც დაფიქსირებულია, რომ ნინო სალუქვაძემაც და **ნინო უჩაძემაც** ქულათა თანაბარი რაოდენობა მოაგროვა — 381-381. უჩაძე მეთხუთმეტე ადგილზე გავიდა, სალუქვაძე — მეთექვსმეტეზე“.

## დღეს, ხვალ, ზეგ...

**დღეს** ტაშკენტში იწყება თავისუფალ ჭიდაობაში საერთაშორისო ტურნირი — „ოქროს გრან პრი“ 20-ზე მეტი ქვეყნის მონაწილეობით. საქართველოს ნაკრები **ზაზა თურმანიძის** თავკაცობით, ტურნირში უძლიერესი შემადგენლობით იასპარეზებს.

**ხვალ** ჩატარდება ფეხბურთში საქართველოს მიმდინარე ეროვნული ჩემპიონატის XVIII ტურის მატჩები. გაიმართება 8 შეხვედრა.

**ხვალ** საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ნაკრები გუნდი რუსეთის ქალაქ ეკატერინბურგში იასპარეზებს მსოფლიო ჩემპიონატში. ტურნირში მონაწილეობს პლანეტის უძლიერესი 70-მდე მოჭადრაკე ქალი.

**ხვალ** ბ. პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე საქართველოს მორაგბეთა ნაკრები „ერთა თასზე“ პორტუგალიის ნაკრებს უმასპინძლებს. დასაწყისი 14 სთ-ზე.

**ხვალ** დიდუბის მძლეოსნობის მანეჟში დაიწყება საქართველოს მოსწავლეთა პირველობა მძლეოსნობაში. შეჯიბრებას ატარებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

**ზეგ** ბათუმში „ბასკოს“ დარბაზში დასრულდება საქართველოს ახალგაზრდობის პირველობა თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში.

## ჯაფარიძე და ზაიკინა მსოფლიოზე...



**ყინულზე სპორტულ ცეკვებში ჩვენი წყვილი ლუბლიანაში ასპარეზობს ფიგურულ ციგურაობაში მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატში. „ლელოს“ მკითხველებმა იციან, რომ მას შემდეგ, რაც 16 წლის ეკატერინა ზაიკინა რუსეთიდან ჩამოვიდა საქართველოში და ჩვენი ქვეყნის მოქალაქე გახდა, 19 წლის ოთარ ჯაფარიძესთან წყვილში გამოდის სარბიელზე. მანამდე ოთარის მეწყვილე ეკატერინა შელცინა იყო და ამ დუეტს მნიშვნელოვანი წარმატებისთვის არ მიუღწევია საერთაშორისო არენაზე. ახლა კი ამის იმედი გაჩნდა. თუმცა, ჯერ მხოლოდ პირველ ნაბიჯებს დგამს ეს წყვილი. ლუბლიანაში სავალდებულო პროგრამის შემდეგ ჩვენი მოცეკვავეები მე-20 ადგილზე დარჩნენ. უკან ჩამოიტოვეს მხოლოდ 6 წყვილი.**

## დანაშაული დაუმტკიცდათ

სასამართლომდე ჯერ კიდევ რჩებოდა იმედი, რომ ცნობილი ქართველი ფალავნები **ალექსი დავითაშვილი** და **გიორგი რევაზიშვილი** შესაძლებელია უდანაშაულო ყოფილიყვნენ, მაგრამ სასამართლო პროცესმა ორივე მათგანი დამნაშავედ სცნო. დავითაშვილს, რომელიც ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტიცაა, 3 წლით, რევაზიშვილს კი 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

## კალენდარი შედგა




**გუშინ, უეფას შტაბბინაში, ქ. ნიონში, ფეხბურთში 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის B ჯგუფის კალენდარი შედგა. მას შემდეგ, რაც ამ ჯგუფის შვიდეული დათქმულ ვადებში კალენდარზე ვერ შეთანხმდა, უეფა იძულებული გახდა კენჭისყრით გამოეტანა „განაჩენი“. აქვე სრულად გთავაზობთ უეფას მიერ შედგენილ კალენდარს და სფფ-ს პრეზიდენტის ნოდარ ახალკაცის კომენტარს.**

**2006 წელი**

**2 სექტემბერი. შაბათი. საქართველო – საფრანგეთი,** იტალია — ლიტვა, შოტლანდია — ფარერები.

**6 სექტემბერი. ოთხშაბათი. უკრაინა – საქართველო,** ლიტვა — შოტლანდია, საფრანგეთი — იტალია.

**7 ოქტომბერი, შაბათი.** იტალია — უკრაინა, შოტლანდია — საფრანგეთი, ფარერები — ლიტვა.

**11 ოქტომბერი. ოთხშაბათი. საქართველო – იტალია,** უკრაინა — შოტლანდია, საფრანგეთი — ფარერები.

**2007 წელი**

**24 მარტი. შაბათი. შოტლანდია – საქართველო,** ლიტვა — საფრანგეთი, ფარერები — უკრაინა.

**28 მარტი. ოთხშაბათი. საქართველო – ფარერები,** უკრაინა — ლიტვა, იტალია — შოტლანდია.

**2 ივნისი. შაბათი. ლიტვა – საქართველო,** ფარერები — იტალია, საფრანგეთი — უკრაინა.

**6 ივნისი. ოთხშაბათი. საფრანგეთი – საქართველო,** ლიტვა — იტალია, ფარერები — შოტლანდია.

**8 სექტემბერი. შაბათი. საქართველო – უკრაინა,** შოტლანდია — ლიტვა, იტალია — საფრანგეთი.

**12 სექტემბერი. ოთხშაბათი.** უკრაინა — იტალია, საფრანგეთი — შოტლანდია, ლიტვა — ფარერები.

**13 ოქტომბერი. შაბათი. იტალია – საქართველო,** შოტლანდია — უკრაინა, ფარერები — საფრანგეთი.

**17 ოქტომბერი. ოთხშაბათი. საქართველო – შოტლანდია,** უკრაინა — ფარერები, საფრანგეთი — ლიტვა.

**17 ნოემბერი. შაბათი. ფარერები – საქართველო,** ლიტვა — უკრაინა, შოტლანდია — იტალია.

**21 ნოემბერი. ოთხშაბათი. საქართველო – ლიტვა,** უკრაინა — საფრანგეთი, იტალია — ფარერები.

**ნოდარ ახალკაცი, სფფ-ს პრეზიდენტი:** „პარიზის ვარიანტი ჩვენთვის იდეალური იყო, თუმცა, არც ამ ვარიანტით ვართ უკმაყოფილონი.

უეფა-ს წარმომადგენლებთან შეხვედრამდე ჯგუფის წევრებმა კვლავ ვცადეთ მოლაპარაკება, თუმცა, უშედეგოდ.

უკრაინელები ითხოვდნენ, რომ შესარჩევი ტურნირის ბოლო ტურებში არავის ეთამაშა ორზე მეტი საშინაო მატჩი, მაგრამ ამ წინადადებას ფრანგებმა არ დაუჭირეს მხარი და შესაბამისად ველარ შევთანხმდით.

რაც შეეხება ტექნიკურ სპონსორს, ამ საკითხზე ვმუშაობთ.

სფფ-ს პრესცენტრი.

## ქალთა ძიუდოს ხვალინდელი დღე

ყვარელმა ამ დღეებში წარსულში ცნობილი ძიუდოისტის ჯ. მათიკაშვილის სახელობის ტურნირს უმასპინძლა. ასპარეზობაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი თბილისის მერიის სპორტის საქალაქო სამსახურის (უფროსი **გ. უდესიანი**) **ლ. თედიაშვილის** სახელობის ოლიმპიური მზადების ცენტრის (გენ. დირექტორი **ემზარ კიკაბიძე**) ძიუდოისტმა გოგონებმა.

52 კგ. წონით კატეგორიაში პირველობა არავის დაუთმო **თამარ ჯინჭარაძემ,** 57 კგ-ში — ანი ავაქიანმა, კიდევ ერთი ოქროს მედალი წილად ხვდა თამარ ლომიძეს (პლუს 70). მესამე ადგილზე გავიდნენ **ასია სარქისიანი** (40), **ანა პეტროსიანი** (57) და **ციცინო გვიშიანი** (პლუს 70).

გამარჯვებულთა და პრიზიორთა მწვრთნელები არიან **ლუდმილა ფერაძე** და **დავით მიზელიძე.**

**სურათზე:** თბილისელი ჩემპიონები და პრიზიორები.

ფოტო რობერტ ბაგოიანისა.



## გაზეთის დაბეჭდვამდე:

### ბალაკი «ჩელსიში» გადავა



მიუნხენის „ბაიერნის“ გენერალურმა დირექტორმა **კარლ-ჰაინც რუმენიგემ** ჟურნალისტებთან შეხვედრისას განაცხადა, რომ ამავე გუნდის მოთამაშე **მიხაელ ბალაკი** ლოლნდონის „ჩელსიში“ გადავა. ტრანსფერი ზაფხულში შედგება. აღსანიშნავია, რომ ეს განცხადება რუმენიგემ გააკეთა მილანის „ინტერის“ ხელმძღვანელობის მისამართითაც. ეს უკანასკნელნი დაინტერესებულნი იყვნენ ფეხბურთელის შეძენით.

„მე დარწმუნებული ვარ, რომ მიხაელი მალე **აბრამოვიჩის** გუნდის მოთამაშე გახდება“ — განაცხადა რუმენიგემ.

## დღეს კენჭისყრაა

დღეს პარიზში გაიმართება უეფას ჩემპიონთა ლიგის გათამაშების მეოთხედფინალური ეტაპის კენჭისყრა. ამ ცერემონიაზე „ლივერპულის“ წარმომადგენლები ჩაიტანენ ახალ ჩემპიონთა თასს. წესით, ძველი ჯილდო ამ ტურნირის ხუთგზის გამარჯვებული გუნდის მფლობელობაში მუდმივად რჩება.

ახალი თასი შელამაზებულია ჩემპიონთა თასის წინა მფლობელი გუნდების სახელწოდებებით. მის პრეზენტაციას მოახდენს ლეგენდარული **ფრანცისკო ჰენტო,** რომელმაც მადრიდის „რეალთან“ ერთად ჩემპიონთა თასი მოიპოვა 1956 წელს.

ხელბურთი. ეროვნული ჩემპიონატი

# მარტის ბოლომდე ნახვამდის...



თბილისში დასრულდა ხელბურთში საქართველოს ვაჟთა და ქალთა ეროვნული ჩემპიონატების ბოლოსწინა მონაკვეთი. ახლა შესვენება გამოცხადდა, ჩემპიონატი კი თვის ბოლოს კვლავ განახლდება — ჩატარდება ქალთა ერთი და ვაჟთა ორი ტური. შემდეგ ფლეი-ოფები გაიმართება.

**7 მარტს ვაჟთა მატჩები ასე დასრულდა:** „თბილისი" — „ქარიშხალა" — 14:12; „შევარდენი" — „მამული" 30:23.

**8 მარტი:** „შევარდენი" — „თბილისი" 32:17; „ქარიშხალა" — „მამული" 26:9.

**სატურნირო მდგომარეობა**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| შევარდენი | 12 | 11 | 0 | 1 | +89 | 22 |
| თბილისი | 12 | 6 | 0 | 6 | +12 | 12 |
| ქარიშხალა | 12 | 6 | 0 | 6 | +12 | 12 |
| მამული | 12 | 1 | 0 | 11 | -145 | 2 |

**ქალთა ტურნირი. 7 მარტი:** „წყალტუბო" — „თბილისი" 11:37; „ქუთაისი" — „ფოთი" 17:23. **8 მარტი:** „თბილისი" — „ფოთი" 28:13; „ქუთაისი" — „წყალტუბო" 11:9.

**სატურნირო მდგომარეობა**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| თბილისი | 9 | 9 | 0 | 0 | +159 |
| ფოთი | 9 | 6 | 0 | 3 | +35 |
| ქუთაისი | 9 | 3 | 0 | 6 | -65 |
| წყალტუბო | 9 | 0 | 0 | 9 | -129 |

ბომბარდირებში ვაჟთა შორის კვლავ **გიორგი წივწივაძე** („შევარდენი") ლიდერობს. მის ანგარიშზეა 134 გოლი. მეორე ადგილზე მყოფი **რატი მსხვილაძე** („ქარიშხალა") ლიდერს მთელი 59 გოლით ჩამორჩება, მესამე ადგილზეა **ირაკლი ქირია** — 68, მეოთხეზე — **ლაშა სამარღანიშვილი** (ორივე — „თბილისი"), მეხუთეზე — გიორგი კობახიძე („შევარდენი") — 54.

**ქალები:** 1. **მარიეტა ბაინდურიანი** („თბილისი) — 76; 2. **ირმა შონია** („ფოთი") — 63; 3. **ინა ჭკუასელი** — 59; 4. **ვიკა ვეშაგური** (ორივე — „თბილისი") — 58; 5. **მაია თავაძე** („ქუთაისი) — 42.

ცოტნე ბაქრაძე




8 მარტს, წარსულში „დინამოს" ცნობილ ფეხბურთელს, აწ განსვენებულ გურამ პეტრიაშვილს დაბადებიდან 65 წელი შეუსრულდებოდა. ამ თარიღთან დაკავშირებით გურამ პეტრიაშვილის თანაგუნდელები, ვეტერანები, ოჯახის წევრები და ახლობლები შეიკრიბნენ ბ. პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე, რათა პატივი მიეგოთ ამ ქვეყნიდან უდროოდ წასული ფეხბურთელისა და შესანიშნავი პიროვნებისათვის.

# მხოლოდ ტექნიკური შედეგები

**ახალგაზრდებს შორის საქართველოს 2006 წლის პირველობის პრიზიორები სამბოში. თბილისი. 268 მონაწილე.**

**48 კგ:** 1. ლევან ჩუბინიძე (ზესტ), 2. გიორგი გეჯაძე (კასპი), 3. გიორგი ტაბატაძე (თბ) და კობა ქასოევი (ახ. გორი); **52 კგ:** 1. დიმიტრი მუდიაძე (ხაშური), 2. ილია ტყეშელაშვილი (ქუთ), 3. ალექსი მაისურაძე (ფოთი) და თამაზ ნოზაძე (ხაშური); **57 კგ:** 1. თამაზ სახეიშვილი (ფოთი), 2. ნუკრი პავლიაშვილი (მცხეთა), 3. ალექსი ჩადუნელი და გიგა როსებაშვილი (ორივე — კასპი); **62 კგ:** 1. ლევან ქოჩიევი (თბ), 2. ზურა შერვაშიძე (ქუთ), 3. ვანო დავითაშვილი და ვალერი პეტრიაშვილი (ორივე — ახმეტა); **68 კგ:** 1. გელა სანიკიძე (ქუთ), 2. იოსებ ფალელიშვილი (გორი), 3. ზურა ოდოშაშვილი და ამირან გორგაძე (ორივე — კასპი); **74 კგ:** 1. დავით შენგელია, 2. ვანო ბერიძე, 3. ზურა მიშველაძე (სამივე — ფოთი) და ბესო ტვილდიანი (თბ); **82 კგ:** 1. ნიკო კუცია (ფოთი), 2. გიორგი ლვინიაშვილი (ახმეტა), 3. ზურა რამაზაშვილი (თელ) და ილია ყუფარაძე (თერჯ); **90 კგ:** 1. თეიმურაზ კაკოიშვილი (ზესტ), 2. გოდერძი ჯავახაძე (ქუთ), 3. ზვიად ჯაშიაშვილი (თბ) და უჩა ჩაქსელიანი (ბოლნ); **100 კგ:** 1. ნუგზარ ბადაშვილი (გორი), 2. მირიან გონჯილიშვილი, 3. ვალერი იმერლიშვილი და ფრიდონ აბულაძე (სამივე — თელავი); **+100 კგ:** 1. ადამ ოქრუაშვილი (დუშ), 2. გივი ტატანაშვილი (კასპი), 3. დავით ბოჭორიშვილი (ქუთ) და გიორგი პურიჭამიაშვილი (გორი).

**P.S. ორგანიზატორები გაოცებულები დარჩნენ შეჯიბრებაში ქარელელების მიერ უმიზეზოდ თავის არიდების გამო.**

## ოლიმპიური ვიქტორინა

***1. დაასახელეთ პირველი ქალი, რომელიც თანამედროვე ოლიმპიურ თამაშებში გახდა ჩემპიონი***

ა — მ. ებოტი (აშშ)
ბ — ე. პრევო (საფრანგეთი)
გ — შ. კუპერი (დიდი ბრიტანეთი)

***2. რომელ წელს ჩატარდა ზამთრის პირველი ოლიმპიური თამაშები?***

ა — 1924 წელს
ბ — 1928 წელს
გ — 1932 წელს

***3. დაასახელეთ ლეგენდარული ფინელი მორბენალი.***

ა — კოლოხმაინენი
ბ — ნურმი
გ — რიტოლა

***4. რომელმა ქართველმა იასპარეზა ოთხჯერ ზამთრის ოლიმპიადაში?***

ა — სოფიო ახმეტელმა
ბ — ვახტანგ მურვანიძემ
გ — კობა წაქაძემ

***5. დაასახელეთ პირველი ოლიმპიელი ქართველი მოფარიკავე.***

ა — აკაკი მეიფარიანი
ბ — ნუგზარ ასათიანი
გ — გურამ კოსტავა

**წინა ნომრის ვიქტორინის პასუხები: 1-გ, 2-ა, 3-ბ, 4-გ, 5-ა.**

# ბავშვთა ფეხბურთი





მინიფეხბურთში ზურაბ ქვანიას ხსოვნის ტურნირი ჭაბუკთა შორის, როგორც ვიუწყებოდით ოლიმპიური ჩემპიონის, პარლამენტარ **გიორგი ასანიძის** თაოსნობით ჩატარდა. დღეს გაგაცნობთ ცალკეულ ნომინაციებში საუკეთესოებს. ბომბარდირის პრიზი გადაეცა ჭაბუკთა უფროს ასაკში გამარჯვებული გუნდის „იროს" წარმომადგენელს **გიორგი ხარძიანს**, ყველაზე გონიერი მოთამაშის პრიზიც ამავე გუნდის ფეხბურთელს **სანდრო გურეშიძეს** ხვდა წილად, მეორე ადგილზე გასულთაგან საუკეთესო მეკარედ **ლევან ყურაშვილი**, საუკეთესო ნახევარმცველად — **დათო ცუცქირიძე** და საუკეთესო თავდამსხმელად **ბაჩო არაბული** აღიარეს.

**სურათებზე:** ზევით — გამარჯვებული „ირაო" (მწვრთნელი — ლევან ანდღულაძე); ქვევით — მეორე პრიზიორი „მიმინო 94" (მწვრთნელები — ჯონი ტილკაშვილი, მიხეილ მოსიაშვილი).

**ფოტოები რობერტ ბაგოიანისა.**

# ანტიკური ოლიმპიადებიდან დღემდე

მეთორმეტე ოლიმპიური თამაშები 1940 წელს და მეცამეტე ოლიმპიური თამაშები 1944 წელს არ ჩატარებულა მეორე მსოფლიო ომის გამო.

## მეთოთხმეტე ოლიმპიური თამაშები

ეს თამაშები გაიმართა დიდი ბრიტანეთის დედაქალაქ **ლონდონში** 1948 წლის 29 ივლისიდან 14 აგვისტოს პერიოდში. მონაწილეობდა 60 ქვეყანა, 4291 სპორტსმენი, მათ შორის 392 ქალი.

მედლები გათამაშდა სპორტის 20 სახეობაში. მოეწყო საჩვენებელი გამოსვლები **ლია-კროსში.**

თამაშების პროგრამით გაიმართა ხელოვნების კონკურსი.

გათამაშდა მედლების 136 კომპლექტი. ყველაზე მეტი მედალი — 83, მოიპოვეს **აშშ-ის** სპორტსმენებმა. ისინი წინ იყვნენ ოქროს მედლებითაც — 38.

დამყარდა 23 ოლიმპიური და 6 მსოფლიო რეკორდი.

მძლეოსნობაში ვაჟთა შორის ასპარეზობა გაიმართა 24 პროგრამაში, 11-ში პირველები იყვნენ ამერიკელები. ქალთა შორის დომინირებდნენ ევროპელები.

ნიდერლანდელი მძლეოსანი ქალი **ფრანსინა ბლანკერს-კუნი** ერთხმად აღიარეს თამაშების გმირად. იგი უძლიერესი იყო 100 (11,9), 200 (24,41), 80 მ. თარჯებით (11,2) რბენებში და 4X100 ესტაფეტაში.

ვაჟებში სენსაციური იყო ამერიკელი ათჭიდელის, 17 წლის **რობერტ მატიასის** გამარჯვება — 7139 ქულა (მაშინ მოქმედი ცხრილით). ათ კილომეტრ დისტანციაზე ოლიმპიური რეკორდით გაიმარჯვა შესანიშნავმა ჩეხმა მორბენალმა **ემილ ზატოპეკმა** (29.59,6). იგი მეორე იყო ხუთ კილომეტრზე გარბენში.

ფრანგი ქალი **მიშლენ ოსტერმეიერი** ჩემპიონი გახდა ბადროს ტყორცნაში (41,91) და ბირთვის კვრაში (13,75; ოლიმპიური რეკორდით); მანვე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა სიმაღლეზე ხტომაში. თამაშების დამთავრებისთანავე იგი გაემგზავრა პარიზში პიანისტთა საერთაშორისო კონკურსზე და იქაც გამარჯვებული გამოვიდა.

ვაჟთა შორის სპორტული სიარული 50 კმ-ზე მოიგო შვედმა **იონ ლიუნგტრენმა.**

ფინელი ტანმოვარჯიშე **ვეიკო ხუხტანენი** უძლიერესი იყო გუნდურ შეჯიბრებაში, მრავალჭიდში და ტაიჭზე ვარჯიშში.

ძალოსანთა პაექრობა მიმდინარეობდა ექვს წონით კატეგორიაში. შედეგი ყველა წონით კატეგორიაში ოლიმპიური რეკორდებით აღინიშნა, მათ შორის ორი მსოფლიო რეკორდი იყო. დომინირებდნენ ეგვიპტელი და აშშ-ის ძალოსნები. მათ შესაბამისად ორი და ოთხი ოქროს მედალი მოიპოვეს. ამერიკელი მძიმეწონოსანი **ჯონ დევისი** სამჭიდის ჯამით 452 კგ. (ოლიმპიური რეკორდი) უძლიერესი იყო.

ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში გათამაშებულ ყველა სინჯის 24 მედლიდან შვედი სპორტსმენები 5 ოქროსა და ორი ვერცხლის ჯილდოს დაეუფლნენ.

მოკრივეთა პაექრობაში თავისი პირველი ოლიმპიური ოქრო მოიგო ლეგენდარულმა უნგრელმა მოკრივემ (73,0 კგ) **ლასლო პაპმა.** იგი ჩემპიონი ხდება 1952 და 1956 წლების ოლიმპიადებში. იგი კრივში პირველი სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი იყო.

საინტერესო ბიოგრაფია აქვს უნგრელ მსროლელს კარლ ტაკაჩს. იგი მსოფლიოში აღიარებული სპორტსმენი იყო, როდესაც ტრაგიკული შემთხვევის გამო დაკარგა მარჯვენა ხელი. მან მარცხენა ხელით რამდენიმე წლის განმავლობაში დიდ სპორტულ შედეგებს მიაღწია, — 1939 წელს მსოფლიო ჩემპიონია, ხოლო 1948 წელს ოლიმპიური ჩემპიონი ხდება (სროლა 25 მ. ჩქაროსნული დამბაჩით).

ბაიდარებით ნიჩბოსნობაში ორი ოქროს მედალი მოიპოვა შვედმა **გერტ ფრედიკსონმა** (1000 და 10 000 მეტრი). შემდგომში იგი მონაწილეობდა კიდევ სამ ოლიმპიურ თამაშებში (1952, 1956, 1960) და სულ მისი ოლიმპიური მონაგარია ოქროს — 4, ვერცხლის — 1 და ბრინჯაოს — 1 მედალი.

კანოეთი ასპარეზობაში სამ დისციპლინაში იმარჯვეს ჩეხებმა.

თავისუფალ ჭიდაობაში წარმატებას მიაღწიეს თურქეთის წარმომადგენლებმა. მათ — 8 წონითი კატეგორიიდან გაიმარჯვეს 4-ში. ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ყველაზე მეტი ოქრო — 5 მედალი წილად ხვდათ შვედებს.

ცხენოსანთა პაექრობაში დაწინაურდნენ მექსიკელები. მათ ანგარიშზე ოქროს ორი, ვერცხლის ერთი და ბინჯაოს თითო მედალი მოდის. ოქროს ორი მედალი მოიპოვეს ფრანგებმა.

მოფარიკავე ქალთა შორის გამარჯვებული (რაპირა) უნგრელი **ილონა ელეკი** 41 წლისა და 78 დღის იყო. იგი დღეისათვის ყველაზე უხნესი ოლიმპიური ჩემპიონია.





აფროსნობაში „ფინის" კლასში ასპარეზობაში თავისი პირველი ოქრო მოიპოვა დანიის წარმომადგენელმა **პაულ ბერტ ელვსტრიომმა.** იგი შემდგომ სამ თამაშებშიც (1952, 1956, 1960 წლები) იმარჯვებს „ფინის" კლასის ასპარეზობაში.

ცურვაში ვაჟთა შორის გათამაშებულ 8 მედლიდან, ყველა ოქროს მედალი ამერიკელებს ერგოთ. მათ ესტაფეტაში 4X200 მ. ოქროს მედლის დაუფლებასთან ერთად მსოფლიო და ოლიმპიური რეკორდიც დაამყარეს — 8.46,0.

ცურვაში ქალთა შორის ოქროს ორი მედლის მფლობელი გახდა ამერიკელი **ენი კურტისი.** მან გაიმარჯვა 400 მ. თავისუფალი სტილით ცურვაში (5.17,8; ოლიმპიური რეკორდი) და 4X100 ესტაფეტაში (ასევე ოლიმპიური რეკორდი). სულ ცურვაში დამყარდა მსოფლიოს ერთი და ხუთი ოლიმპიური რეკორდი. ყველა მათგანი აშშ-ის სპორტსმენებს ეკუთვნოდათ.

**მეთოთხმეტე ოლიმპიური თამაშები. 1948. მოპოვებული მედლების რაოდენობა**

| ქვეყნები | ო. | ვ. | ბ. | სულ |
|---|---|---|---|---|
| 1. აშშ | 38 | 26 | 19 | 83 |
| 2. შვედეთი | 16 | 13 | 16 | 45 |
| 3. საფრანგეთი | 10 | 5 | 13 | 28 |
| 4. უნგრეთი | 10 | 5 | 11 | 26 |
| 5. იტალია | 8 | 11 | 6 | 25 |
| 6. შვეიცარია | 6 | 5 | 9 | 19 |
| 7. ჩეხოსლოვაკია | 6 | 2 | 2 | 10 |
| 8. ფინეთი | 6 | 8 | 6 | 20 |
| 9. დანია | 5 | 7 | 8 | 20 |
| 10. ნიდერლანდები | 5 | 2 | 8 | 15 |
| 11. თურქეთი | 6 | 4 | 2 | 12 |
| 12. დიდი ბრიტანეთი | 3 | 14 | 7 | 24 |
| 13. არგენტინა | 3 | 4 | - | 7 |
| 14. ავსტრალია | 2 | 6 | 5 | 13 |
| 15. ბელგია | 2 | 2 | 3 | 7 |
| 16. ეგვიპტე | 2 | 2 | 1 | 5 |
| 17. მექსიკა | 2 | 1 | 2 | 5 |
| 18. სამხრეთ აფრიკა | 2 | 1 | - | 3 |
| 19. ნორვეგია | 1 | 3 | 3 | 7 |
| 20. ავსტრია | 1 | - | 3 | 4 |
| 21. პერუ | 1 | - | - | 1 |
| 22. ინდოეთი | 1 | - | - | 1 |
| 23. კანადა | — | 1 | 2 | 3 |
| 24. იუგოსლავია | - | 2 | - | 2 |
| 25. იამაიკა | 1 | 2 | - | 3 |
| 26. შრი-ლანკა | - | 1 | - | 1 |
| 27. ტრინიდადი | - | 1 | - | 1 |
| 28. პორტუგალია | - | 1 | 1 | 2 |
| 29. ესპანეთი | - | 1 | - | 1 |
| 30. ურუგვაი | - | 1 | - | 1 |
| 31. კუბა | - | 1 | - | 1 |
| 32. კორეა(გაერთ.) | - | - | 2 | 2 |
| 33. ბრაზილია | - | - | 1 | 1 |
| 34. ირანი | - | - | 1 | 1 |
| 35. პუერტო-რიკო | - | - | 2 | 2 |
| 36. პოლონეთი | - | - | 1 | 1 |
| 37. პანამა | - | - | 2 | 2 |
| სულ | 136 | 136 | 133 | 405 |

**გათამაშებული მედლების რაოდენობა**

| სპორტის სახეობები | ვაჟი | ქალი | სულ |
|---|---|---|---|
| 1. აკად. ნიჩბოსნობა | 7 | - | 7 |
| 2. აფროსნობა | 5 | - | 5 |
| 3. ბაიდარა და კანოე | 8 | 1 | 9 |
| 4. ბალახის ჰოკეი | 1 | - | 1 |
| 5. ველოსპორტი | 6 | - | 6 |
| 6. თანამედროვე ხუთჭიდი | 1 | - | 1 |
| 7. კალათბურთი | 1 | - | 1 |
| 8. კრივი | 8 | - | 8 |
| 9. მძლეოსნობა | 24 | 9 | 33 |
| 10. სროლა | 4 | - | 4 |
| 11. ტანვარჯიში | 8 | 1 | 9 |
| 12. ფარიკაობა | 6 | 1 | 7 |
| 13. ფეხბურთი | 1 | - | 1 |
| 14. ცურვა | 6 | 5 | 11 |
| 15. ცხენოსნობა | 6 | - | 6 |
| 16. ძალოსნობა | 6 | - | 6 |
| 17. წყალბურთი | 1 | - | 1 |
| 18. წყალში ხტომა | 2 | 2 | 4 |
| 19. ჭიდაობა ბერძ-რომ | 8 | - | 8 |
| 20. ჭიდაობა თავისუფალი | 8 | - | 8 |
| სულ | 117 | 19 | 136 |

დავით კინწურაშვილი

გაგრძელება იქნება.
დასაწყ. „ლელო" №2-დან

**„ლელოს" რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს გაზეთ „შანსის" თანამშრომელს ზურაბ კორკოტაძეს მამის გარდაცვალების გამო.**

# კარატე-დო

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის საინფორმაციო ფურცელი

№40 (54) მარტი, 2006 წელი


# ახალგაზრდებს შორის

## საერთაშორისო ტურნირი თბილისის თასზე

## 2006 წელი, 19 მარტი

ტურნირის ორგანიზატორები:

*საქართველოს სპორტის დეპარტამენტი;*
*საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია;*
*მსოფლიოს შოტოკან კარატე-დოს ფედერაცია;*




ჩემპიონატის მიზნები და ამოცანები:
კარატეს განვითარება და პოპულარიზაცია საქართველოში;
მონაწილე სპორტსმენების დონის ამაღლება;
მსაჯთა კვალიფიკაციის ამაღლება;
საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ნაკრები გუნდების შერჩევა ყველა ასაკობრივ ჯგუფში;

მონაწილეთა ასაკი და წონები:
კუმიტე – ბავშვები (ვაჟები, გოგონები);
კუმიტე – კადეტები, ვაჟები:
8-9 წელი: -30, -40, +40 კგ. შობუ ნიბონ (2 წთ.);
10-11 წელი: -40, -50, +5- კგ. შობუ ნიბონ (2 წთ.);
12-13 წელი: -45, -55, +55 კგ. შობუ ნიბონ (2 წთ.);
14-15 წელი: -55, -65, +65 კგ. შობუ ნიბონ (2 წთ.);
16-17 წელი: -60, -65, –75 კგ. შობუ ნიბონ (2 წთ.);

კუმიტე კადეტებში (გოგონები):
8-9; 10-11; 12-13; 14-15; 16-17 წლები შობუ ნიპონ
ჩემპიონატი ჩატარდება შოტოკან კარატე-დოს წესებით;

მსაჯობა:
ჩემპიონატზე სამსაჯოდ მოწვეულნი არიან აზერბაიჯანისა და სომხეთის საერთაშორისო კლასის მსაჯები;

დაჯილდოვება:
ჩემპიონატზე საპრიზო ადგილზე გასული სპორტსმენები დაჯილდოვდებიან მედლებით, დიპლომებით და ფასიანი საჩუქრებით;

ჩემპიონატის ჩატარების დრო და ადგილი:
ჩემპიონატი ჩატარდება 2006 წლის 19 მარტს, დასაწყისი 09:00 საათზე.
მისამართი: უნივერსიტეტის ქ. № 2 (არმიის სპორტული კლუბი);

ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა:
ჩემპიონატში მონაწილეობის მსურველმა ფედერაციებმა და კლუბებმა წარადგინონ განაცხადი, – სახელი, გვარი, დაბადების მოწმობა, წონითი კატეგორია, ბუდო პასპორტი და ექიმის ვიზა;

განაცხადებისა და დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ: თბილისი, დ. უზნაძის ქ. №6, საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია. ტელ: 96-31-89.

# საქართველოს კარატისტთა საუკეთესო ათეული და 2005 წელს მოპოვებული 250 მედალი



საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის 2005 წლის საუკეთესო კარატისტთა ათეული.

*დათო ტყებუჩავა* – მსოფლიო ჩემპიონატი (JSKF), I ადგილი, ევროპის ჩემპიონატი (WSKF), I ადგილი.
*ლევან გორელაშვილი* – მსოფლიო ჩემპიონატი (JSKF), I ადგილი, მსოფლიო მაკაბიადა II ადგილი.
*ირაკლი ტყებუჩავა* – მსოფლიო ჩემპიონატი (JSKF), I ადგილი.
*დათო აბრამიშვილი* – მსოფლიო მაკაბიადა I ადგილი.
ალექსანდრე ჟამურაშვილი – ევროპის ჩემპიონატი (WSKF) II ადგილი, მსოფლიო ჩემპიონი (JSKF), I ადგილი.
*თემურ ხოხაშვილი* – მსოფლიო ჩემპიონატი (JSKF), I ადგილი.
*გიორგი მაჩაბელი* – მსოფლიო ჩემპიონატი (JSKF), I ადგილი.
*გოგიტა არახანია* – ევროპის ჩემპიონატი (WKF), III ადგილი.
*ქეთინო გოგბერაშვილი* – შავი და კასპიის ზღვების ქვეყნების ჩემპიონატი, კატა-კუმიტე, I ადგილი.
*მამუკა შონია* – მსოფლიო ჩემპიონი, აშიხარა კარატე-დოში.

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის გასვლითი ჩემპიონატები და საქართველოში ჩატარებული ღონისძიებათა ნუსხა

*გასვლითი ჩემპიონატები:*
XIII მსოფლიო ჩემპიონატი, გერმანია;
„მიუნხენის ღია ჩემპიონატი", მიუნხენი გერმანია;
„დრეზდენის საერთაშორიო ტურნირი", გერმანია;
„მსოფლიოს საბრძოლო ხელოვნებათა თამაშები", გერმანია;
„ტაეკვანდოს მსოფლიო ღია ჩემპიონატი", უელსი;
„ლონდონის ღია ჩემპიონატი", ლონდონი;
„ინგლისის ღია ჩემპიონატი", ლონდონი;
მსოფლიო მაკაბიადა, ისრაელი;
არხავის ბავშვთა და მოზარდთა საერთაშორისო ტურნირი „შავი ზღვის თასი", თურქეთი;
ევროპის ჩემპიონატი, სტამბული;
„ბოსფორის თასი", სტამბული;
„სტამბულის თასი", სტამბული.

საქართველოში ჩატარებული ჩემპიონატები:
საერთაშორისო ტურნირი „კავკასიის თასი 2005" კარატე-დოში, თბილისი;
საერთაშორისო ტურნირი „კავკასიის თასი 2005" საბრძოლო ხელოვნებებში;
საერთაშორისო ტურნირი „ბათუმი 2005", ბათუმი;
საერთაშორისო ტურნირი „გორი 2005", გორი;
საერთაშორისო ტურნირი „აკაკი კიბორძალიძის საერთაშორისო ტურნირი", ქუთაისი;
საერთაშორისო ტურნირი „პრეზიდენტის თასი 2005", ზუგდიდი;
საერთაშორისო ტურნირი „ფოთი 2005", ფოთი;
გურჯაანის საერთაშორისო ტურნირი;
საქართველოს ჩემპიონატი და პირველობა;
15 რეგიონალური ტურნირი;
35 საკლუბო ტურნირი.

2005 წლის ყველა ღონისძიება დაფინანსებული იქნა საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციია მიერ, რამაც, საერთო ჯამში შეადგინა 300 000 ლარი.
საერთო ჯამში, ქართველი სპორტსმენების მიერ 2005 წელს, მოპოვებული იქნა 250 სხვადასხვა სინჯის მედალი.

## ბოსფორის თასი 2006

7 და 9 აპრილს სტამბულში საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ნაკრები 2006 წლის ბოსფორის თასის გათამაშებაში მიიღებს მონაწილეობას. ეს ჩემპიონატი ქართული კარატესთვის წელლს პიორველი გასვლითი ჩემპიონატია. 'ბოსფორის თასის" გათამაშება კატასა და კუმიტეში გაიმართება როგორც მოზარდებს შორის, ისე უფროსებში.

როგორც საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცის პრეზიდენტი კახა ბასილია აღნიშნავს 'ბოსფორის თასი" ერთერთი პრესტიჟული, რთული მოსაგები და ამავე დროს საკმაოდ პრინციპული ჩემპიონატია. უნდა აღინიშნოს, რომ 'ბოსფორის თასზე" მსოფლიოს ნომერ პირველი კარატისტები ასპარეზობენ ხოლმე. ჩვენმა ნაკრებმა გასულ წელს საკმაოდ კარგი შედეგი აჩვენა 'ბოსფორის თასზე" და იმედი გვაქვს, რომ წელს გავაუმჯობესებთ მედლების ხარისხს".






## ქართულ-იაპონურ კულტურათა განვითარება

გუშინ თბილისს სამუშაო ვიზიტით მსოფლიოს შორინჯი რიუ კენკოკან კარატე-დოს ფედერაციის შეფინსტრუქტორი მასამიცუ ჰისატაკა ეწვია. იაპონელი ოსტატი თბილისში საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფდერაციისა და საქართველოს შორინჯი რიუ კენკოკან კარატე-დოს ფედერაციის ეგიდით ჩამოვიდა. „მასამიცუ ჰისატაკას ვიზიტის მიზანი ქართულ-იაპონური საზოგადოების ჩამოყალიბება და ბიზნესის განვითარებაა, რათა ამ ორი ქვეყნის კულტურა და, რა თქმა უნდა, კარატეს პოპულარიზაცია მოხდეს", – განაცხადა საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფდერაციის პრეზიდენტმა კახა ბასილიამ.


გიწვევთ საქართველოს კარატე-დოს ეროვნულ ფედერაციასთან არსებული ფიტნეს კლუბი.

თქვენი პედაგოგი იქნება საერთაშორისო კლასის პროფესიონალი ქორეოგრაფი ტერი

მისამართი:
დ. უზნაძის ქ. №6;
ტელ/ფაქსი: 96-31-89.




ნუგზარ ქიაბერაშვილი, საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრესმდივანი

## საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია თავის წევრთა ინტერესებს წარმოადგენს საკანონმდებლო ორგანოებში და ხელისუფლე-ბაში. სპორტის დეპარტამენტში, საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტსა და საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებში. ქმნის სექციებს, კლუბებს, ტრადიციული კარატე-დოს ცენტრებს, ეხმარება მათ ორგანიზაციულ მეთოდიკურ საქმიანობაში, არეგულირებს მათი მოღვაწეობის იურიდიულ მხარეს, ორგანიზებას უკეთებს სასწავლო-საატესტაციო სემინარებს სპორტს-მენთათვის და მსაჯთა მომზადებასა და ლიცენზირებას საერთაშორისო ფედერაციებში მიღებული ფორმების მიხედვით, ატარებს შოუ-ფესტი-ვალებს და სპორტულ დღესასწაულებს.

空手道

მათ, ვინც დაინტერესდება ჩვენი ფედერაციის საქმიანობით გთხოვთ მოგვმართოთ შემ-დეგ მისამართზე: თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. №6, ტელ/ფაქსი: 96-31-89, www.karate.ge
საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის ცენტრალური ოფისი.

მომზადებულია საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრესცენტრის მიერ

## მამუკა კვარაცხელია იწყებს...

„საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა ჯერ არ გადამიწყვეტია, თუმცა, დრო მოვა და ამაზე დავფიქრდები, მანამდე კი ოპოზიციაში ჩავუდგები ამ ფედერაციას და ვამხელ მათ ყველ უმსგავსობას" — განაცხადა სფფ-ს ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, სპორტული სამყაროსთვის კარგად ცნობილმა ჟურნალისტმა, უეფას მედიაოფიცერმა, სფფ-ს ყოფილმა პრესატაშემ მამუკა კვარაცხელიამ, რომელიც თბილისში ამ დღეებში დანიიდან დაბრუნდა, სადაც ის ბოლო ორი წელიწადია ცხოვრობს.

მამუკა კვარაცხელია შეშფოთებულია საქართველოს ფეხბურთში მიმდინარე პროცესებით. მას შემუშავებული აქვს კრიზისის დაძლევის საკუთარი პროგრამის პროექტი, რომელსაც „საფეხბურთო რევოლუცია" ჰქვია. მან ეს პროექტი საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე გააცნო ჟურნალისტთა კორპუსს. ფაქტობრივად, ეს იყო ამ პროგრამის პროექტის პრეზენტაცია, მაგრამ თუ გადაწყვეტს კენჭი იყაროს სფფ-ს პრეზიდენტის პოსტზე, მ. კვარაცხელია პროექტს ძირითად სამოქმედო პროგრამად გამოაცხადებს. პროექტი კი ასეთია:

1. ჩვენი კლიმატის, ინფრასტრუქტურისა და პირობების გათვალისწინებით, ჩემპიონატი „გაზაფხული-შემოდგომის" სისტემით უნდა ჩატარდეს.

გაუმართლებელია საქართველოში 16-გუნდიანი პირველობა, მაქსიმუმ 10-გუნდიანი უნდა იყოს. თავის დროზე ამას მიხვდა პროფლიგის პრეზიდენტი დიმიტრი რამიშვილი და სწორედ მაშინ იყო ყველაზე საინტერესო თამაშები.

მეორე ლიგისთვის, უპრიანი იქნებოდა ორ ზონად (ათ-ათი გუნდით) დაყოფა. რეგიონალლიგა კი რეგიონული ფეხბურთის განვითარებას მოემსახურება. დასავლეთსა და აღმოსავლეთში ორ-ორი, ასევე 10-გუნდიანი პირველობა იქნება.

ასევე, საჭიროდ მიმაჩნია, დუბლიორთა ჩემპიონატის ჩატარება.

2. მსაჯთა კორპუსი დამოუკიდებლად უნდა მუშაობდეს. თითოეულ არბიტრს ინგლისურის შესწავლა უნდა მოეთხოვოს, რადგან საერთაშორისო მატჩებს ენის უცოდინრობის გამო არ ანდობენ. მათზე საიდუმლო კონტროლი უნდა დაწესდეს და ვინ ამოწმებს, ეს წინასწარ ცნობილი არ უნდა იყოს.

3. აჭარის სანაპიროლა დაგვრჩა აფხაზეთის ოკუპაციის შემდეგ და ქართული ფეხბურთის სამსახურში ის მაინც უნდა ჩავაყენოთ. ეს არის ჩემი პროექტის უმნიშვნელოვანესი საკითხი. ბათუმში არის ჩინებული კლიმატი და თუკი თითოეული სასტუმროს მეპატრონე ერთ მოედანს მაინც მოაწყობს, დარწმუნებული იყავით, 50 გუნდი მაინც ჩამოვა მოსამზადებლად. მიკერს ამ ფედერაციის: როცა ყაზახი ინვესტორები აჭარის ათვისებას აპირებენ, უნდა აეტალახებინათ მათი ოფისები და საფეხბურთო მოედნების მოწყობაც შეეთავაზებინათ.

4. გერმანიის საფეხბურთო კავშირს ყველა რეგიონში აქვს დაარსებული „საფეხბურთო წერტილები". მისი ეგიდით, ლიცენზირებული მწვრთნელები რეგიონებში ტალანტებს ეძებენ. ასეთი სისტემაა საჭირო. ამას გარდა, საქართველოში ერთი დიდი საბავშვო ტურნირის ორგანიზებაა საჭირო, მაგრამ დღეს აბსოლუტურად ინერტულ დამოკიდებულებას ვაწყდებით.

აქცენტი ბავშვთა ფეხბურთზე უნდა გადავიტანოთ. რეგიონული ტურნირების შემდეგ ჩამოსაყალიბებელია რეგიონის ნაკრებები, რომლებიც საქართველოს ჩემპიონობას გაითამაშებენ.

5. აღმასკომი ეფექტური ორგანო არ არის. მისი დანიშნულება ახალკაცისა და კოკაიას ყველა წინადადების უსიტყვოდ მიღებაა. მსოფლიო ფეხბურთში დარსაძის დანიშვნას ანალოგიას ვერ მოუძებნით: გაიხსენეთ, საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელის დანიშვნა „სხვადასხვა" საკითხებში გაერთიანდა და არ იყო ცალკე საკითხად გამოყოფილი.

აღმასკომის წევრი, ვინც ზედიზედ ხუთ სხდომაზე ინიციატივას არ გამოიჩენს, დასათხოვნია. თვეში ერთხელ, სხდომა რეგიონებშიც უნდა გაიმართოს.

6. ვამჩნევ, ჟურნალისტებს ყველაზე მეტად შესტკივათ გული ფეხბურთზე და აღმასკომის პარალელურად, უნდა შეიქმნას საგანგებო მედიასაბჭო, რომლის მოსაზრებებსაც ფედერაცია გაითვალისწინებს.

7. სირცხვილია, რომ დღეს ფედერაციაში თითქმის არ მუშაობენ ვეტერანი ფეხბურთელები. ჩივაძე და ხურცილავა უნდა იყვნენ იქ, სადაც მათი ადგილია. სხვა ცნობილი ვეტერანებიც უნდა დავასაქმოთ. ეროვნულ სტადიონზე კი ქართული ფეხბურთის ლეგენდების ვარსკვლავებს გავხსნიდი.

8. ფედერაცია ყველაფერს აკეთებს ნაკრებში ზესტაფონელთა შესაყვანად. ასეთი ლობირების მოსპობა მწვრთნელთა საბჭოს შექმნით მოხერხდება. არ მესმის, რატომ არიან იგნორირებულნი ელგუჯა გუგუშვილი და რამდენიმე ცნობილი პიროვნება. ახალკაცისაგან და დარსაძისგან განსხვავებით, მწვრთნელთა საბჭო ტოპმიოლერს ობიექტურ ინფორმაციას მიაწვდის.

9. ბიზნესმენებთან და სახელმწიფო მოხელეებთან ერთად, ფეხბურთის განვითარების პროგრამა უნდა შემუშავდეს...

# მანუჩარ მაჩაიძე ქართული ფეხბურთის სატკივარზე

განსხვავებული აზრი ყოველთვის იწვევს საზოგადოებაში გარკვეულ უკურეაქციას. ვფიქრობთ, აქ ორ ძირითად მიზეზთან გვაქვს შეხება. პირველი — ბევრისთვის უფრო მისაღებია დამკვიდრებული, ტრადიციად ქცეული შეხედულება საგნებსა და მოვლენებზე და მეორე — ცრუ წარმოდგენები ინტერპრეტაციის მეტ შესაძლებლობას იძლევა, — სიმართლე კი ერთია. „მართალ კაცს ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდესო" — ესეც ტყუილუბრალოდ არაა ხალხში ნათქვამი და, ალბათ, კაი გვარიანი ასაკისაცაა ეს გამოთქმა, რადგან სიმართლე და ცხენია გაიგივებული ერთმანეთთან და არა, თუნდაც, XX საუკუნის სიმბოლო — კოსმოსური რაკეტა და სიმართლე.

სიმბოლურად ცხენი მართლაც კარგა ხანია შეკაზმული ჰყავს გამორჩეული ხელწერის ვეტერან ქართველ ფეხბურთელს, თბილისის „დინამოს" კაპიტანს წლების განმავლობაში — მანუჩარ მაჩაიძეს. მანუჩარი ისევე ორდინარულია ფეხბურთზე თავის შეხედულებებსა და აზრებში, როგორიც თვით ფეხბურთში იყო თავად. განსხვავებული აზროვნების იყო მაშინაც, როცა თამაშობდა. საკუთარი პრინციპებისთვის არ უღალატია შემდეგაც, როცა ფეხბურთის თამაშს გაანება თავი და საზოგადოებრივი ცხოვრების სარბიელზე გავიდა. თავისი სიტყვა აქაც თქვა, როგორც პიროვნებამ, რადგან სულაც არ არის იოლი გახდე ხალხის რჩეული და ადგილი მოიპოვო საკანონმდებლო ორგანოში. მანუჩარმა ეს შეძლო და საქართველოს პარლამენტში გატარებულმა წლებმაც გაამდიდრა მისი ბიოგრაფია. ფეხბურთმა ვიცით მანუჩარს რა მისცა და თავადაც რა გაიღო ამ საყოველთაოდ აღიარებული თამაშისთვის, მაგრამ რა მიიღო საზოგადოებრივ სარბიელზე. ჯერჯერობით უმაღლესი მიღწევისგან — პარლამენტარობისგან?



— სანაცვლოდ მიღება არ არის და არც არასდროს ყოფილა ჩემი ცხოვრების მიზანი. ეს, ვფიქრობ, ყველამ კარგად იცის — ამბობს ჩვენი რესპონდენტი.

◆ ***მაშ რა იყო და რა არის თქვენი მიზანი?***

— ის, თუ თავად მე რას ვიძლევი საქმისთვის, რასაც ვემსახურები.

◆ ***კარგით, ამ თემას ქვემოთ კიდევ დავუბრუნდებით. გვითხარით რა იყო თქვენთვის ფეხბურთი?***

— მაპატიეთ, მაგრამ ფეხბურთზე, თუ რას ნიშნავს იგი ჩემთვის, წარსულ დროში ვერ ვილაპარაკებ. მგონი ამით ყველაფერია ნათქვამი...

◆ ***დიახ, თქვენ მუდამ გაწუხებდათ და გაწუხებთ ქართული ფეხბურთის ბედი. ნუთუ ამდენი ხნის განმავლობაში სასიკეთოდ არაფერი შეიცვალა?***

— შედეგი, შედეგია მთავარი, თქვენ როგორ ფიქრობთ, შეიცვალა?..

◆ ***გეთანხმებით, რომ რადიკალური ზომებია გასატარებელი, მაგრამ რით და საიდან უნდა დავიწყოთ?***

— შეუძლებელია ერთი, ორი ან თუნდაც მეტი კონკრეტული ამოცანის დასახვა. მთლიანობაშია მოსაგვარებელი საქართველოს საფეხბურთო მეურნეობა.

◆ ***და მაინც, რით უნდა დავიწყოთ?***

— აი, ამაზე შემიძლია გიპასუხოთ კონკრეტულად, — ბავშვთა ფეხბურთით. იცით რა? ვიდრე თავს არ გავანებებთ იმის მტკიცებას და ბავშვებში ჩაგონებას, რომ ჩვენ გენეტიკურად საფეხბურთო ქვეყანა ვართ, მანამდე არაფერი გამოგვივა. ფეხბურთი მსოფლიოს არცერთი ერის გენში არ ზის. განა რა ასაკისაა ფეხბურთი, რომ ერის გენად ქცეულიყო? და მაინც, ავიღოთ ბრაზილია, რომელიც მართლა საფეხბურთო ქვეყნად ითვლება. ჩამოიყვანეთ იქაური ბავშვები საქართველოში და აქ დააწყებინეთ ფეხბურთის თამაში. როგორ ფიქრობთ, რაიმე განსხვავება იქნება ქართველ და ბრაზილიელს შორის, ვთქვათ 5-6 წლის მზადების შემდეგ? არავითარი, — მივიღებთ ქართულ ბავშვთა ფეხბურთის პროდუქტს იმ ბრაზილიელებისგან. მიხვდით ხომ რას გეუბნებით, — სისტემაა მთავარი. ჩვენ ისეთი სისტემა გვაქვს რა დონისაც იზრდებიან ფეხბურთელები. ამ სისტემიდან უკეთეს ვერ მივიღებთ. ეს არის და ეს.

◆ ***პირიქით რომ მოვიქცეთ და ჩვენი ჭაბუკები წავიყვანოთ ბრაზილიაში...***

— ოო, აი, ამის თქმა მინდოდა. წაიყვანეთ 10-15 ბავშვი ბრაზილიაში და თუ ბრაზილიური ფეხბურთი არ ითამაშონ, თავს დავდებ. ასე რომ, გენები არაფერ შუაშია, მთავარია, როგორი სისტემა და საფეხბურთო სკოლა გაგვაჩნია ამ სიტყვის ფართო გაგებით. ვაზუსტებ, მთავარია, აღზრდა და არა ეროვნული ნიშნით თავდაჯერება. ასე რომ, უაზროდ ნუ ვიტრაბახებთ. არ გეგონოთ, ბრაზილიელები რომ ვახსენე, სხვა მაგალითის მოტანა არ შეიძლება. თუნდაც იტალიელები და ვინც გნებავთ ის აიღეთ. ჩვენთან, ჩვენ საფეხბურთო სკოლაში აღზრდილი იტალიელი მოზარდი არა იტალიურს, არამედ ქართულ ფეხბურთს ითამაშებს.

◆ ***მაგრამ ხომ არიან ქვეყნები, გარდა ბრაზილიისა, იტალიისა და ა.შ. რომლებსაც ჰყავთ გამორჩეული ოსტატები...***

— დიახ, დიახ, ჰყავთ. მათ შორის ჩვენც, მაგრამ ეს არ არის ერთიანი სისტემის, ერთიანი ფესვებმძლავრი ეროვნული საფეხბურთო სკოლის მიზანმიმართული შრომის შედეგი. ეს ერთეულ ტალანტთა და მათი თავდაუზოგავი შრომის ნაყოფია. დანია ავილოთ, განა ლარსენი და ლაუდრუპი ამის მაგალითი არ არის? ნუ ვიძახით საფეხბურთო ერი ვართო. ეს თვითშთაგონება ცუდ სამსახურს გვიწევს. დათვური სამსახური გამოდის.

◆ ***რატომ იყო, რომ თქვენს დროს ქუჩის ფეხბურთიდან მოდიოდნენ ტალანტები?***

— იმიტომ, რომ ისინი ლაღად თამაშობდნენ, ასე ვთქვათ, თამაშში სწავლობდნენ ფეხბურთს და არა მკაცრად შეზღუდული სქემებით, როგორც ამას აკეთებენ ახლანდელი მწვრთნელები. საფეხბურთო აზროვნების განვითარება კი ბატონო, მაგრამ გადამეტებული, უკუშედეგს იძლევა. ადრე მწვრთნელებიც სხვანაირები იყვნენ. დროს წინ არ უსწრებდნენ, დროს ელოდნენ და მოზარდიც იზრდებოდა და იხვეწებოდა. ახლა მწვრთნელები სულწასულები არიან, დღესვე უნდათ ბავშვისგან მიიღონ მაქსიმუმი, რომ თავი მოიწონონ. არადა, ასეთი მიდგომა დამღუპველია. შედეგად ვიღებთ იმას, რომ ბავშვთა ფეხბურთში, როგორლაც თავი მოგვაქვს, რაღაცას ვაღწევთ, გადის წლები და „ტალანტები" იკარგებიან. ზოგიერთი ამბობს: ადრე სხვა იყო, ახლა სხვა ფეხბურთიაო. დალოცვილო, თუ ასეა, რატომ ჩამორჩი პროგრესს. თუ არ ჩამორჩი, სადაა შედეგი?

◆ ***პირადად თქვენ რა მოგცათ ბავშვობაში მწვრთნელებმა?***

— მე ძალიან მადლიერი ვარ მათი. მადლიერი იმიტომ, რომ ვანო შუდრამ, ვლადიმერ გვარჯალაძემ, არჩილ კიკნაძემ, შემდეგ ვოვა ელოშვილმა ბევრი რამ მასწავლეს. ამიხსნეს, შთამიბეჭდეს გონებაში, არა ის, რომ საფეხბურთო ერის შვილი ვარ, არამედ ის, რომ შვილო, ეს ასე გააკეთე, ეს ასეო. ვანო შუდრა, სულ პატარა, რომ ვიყავი, ფეხბურთის ანა-ბანას მასწავლიდა, ტექნიკაზე მამუშავებდა, მაგებინებდა კაცი როგორ მომეტყუებინა, როგორ ამერთვა მეტოქისთვის ბურთი, ისე, რომ ჯარიმა არ მიმეღო. მოკლედ, საფუძველს უყრიდა შეგირდებში ფეხბურთელობას. თუ ეს ფუნდამენტი არ გაქვს, მერე 17 წლისა, როგორი კარგი მწვრთნელის ხელშიც გინდა მოხვდე, ვეღარ შეისწავლი იმას, რაც თავის დროზე უნდა აგეთვისებინა და გამჯდარიყო შენში. 7-14 წლამდე მოზარდმა თუ არ შეისწავლა ბურთთან ურთიერთობა, არ გაითავისა ტექნიკა, რაც ფეხბურთში უმთავრესია, გათავებულია, შემდეგ ვეღარ აანაზღაურებს დანაკარგს. ყველაფერს თავისი დრო აქვს.

◆ ***მაგრამ ყველაფერი არა მხოლოდ ნიჭიერებაზე, დამოკიდებულია შრომაზე.....***

— რა თქმა უნდა. განა მუსიკოსი მაესტრო გახდება თუ ყოველდღიურად 6-8 საათი არ დაუთმო მზადებას? ფეხბურთელმა შეიძლება 6-8 საათი არ შეწიროს ფეხბურთს დღეში, მაგრამ ბევრი უნდა ივარჯიშოს და, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, ივარჯიშოს სწორად. აი, ამ პრინციპების უგულებელყოფით და საფეხბურთო ერის სახელით მთელი თაობები ჩარჩნენ წარსულში, ვერ ამაღლდნენ თანამედროვე მოთხოვნების დონემდე.

◆ ***კი მაგრამ, ლეგიონერები...***

— მესმის, რასაც მეკითხებით, კახა კალაძე, არველაძეები და სხვები საქართველოში რომ დარჩენილიყვნენ იქნებოდნენ ისეთივე ფეხბურთელები, რა დონეც გაგვაჩნია, შეიძლება ინდივიდუალურად, ცოტა უკეთესები, მაგრამ მაინც ქართული ფეხბურთის პირმშოებად დარჩებოდნენ.

ავიღოთ ურუგვაი, ჩვენსავით ისიც პატარა ქვეყანაა, მაგრამ მთელ მსოფლიოში არიან მოდებულები ურუგვაელი მოთამაშეები. რატომ, იმიტომ, რომ ფეხბურთელთა მომზადების კარგი სისტემა, სკოლა და ტრადიციები აქვთ.- განვსაჯოთ პირობითად, საშუალო დონე. ურუგვაელები, ალბათ, აქაც ათჯერ უკეთესები არიან ჩვენზე, თუ მეტად არა.

◆ ***რით ახსნით იმას, რომ რუსეთსა და უკრაინაში სათამაშოდ იწვევენ უცხოეთის ფეხბურთელებს?***

— ამ ქვეყანაში საფეხბურთო აზროვნება შეიცვალა. საბჭოთა ფეხბურთი კარგ ფიზიკურ მომზადებაზე იყო აგებული. ესეც აუცილებელია, მაგრამ არა ცალსახად. ის დრო წავიდა. რუსეთშიც და უკრაინაშიც მიხვდნენ, რომ სისტემა შესაცვლელია, რომ გარდაქმნაა საჭირო და ეს პროცესიც დაიწყო. ჩვენში კარგა ხანს იკავებდნენ თავს ლეგიონერების კლუბებში მოწვევისგან. ახლა, როგორც იტყვიან, ნავსი ნელნელა ტყდება. ვნახოთ. ამაში რომ ცუდი არაფერია, ღრმად ვარ დაჯერებული.

◆ ***როგორ უყურებს მანუჩარ მაჩაიძე იმ ფაქტს, რომ ტოპმიოლერმა ასისტენტებად დაიყენა თავისიანები, მათ შორის, ღვიძლი ძმა და არა ქართველი სპეციალისტები, რათა გამოცდილება მიეღოთ...***

— რაკი მკითხეთ, გეტყვით, რომ ტოპმიოლერის გადაწყვეტილება მართებულად მიმაჩნია. თუ შედეგს ითხოვ, როგორც იტყვიან, ნებაზეც უნდა მიუშვა. ჩვენი ახალგაზრდები ნიჭიერები კი არიან, მაგრამ სიზარმაცეს, ნებისყოფას ვერ უპირისპირებენ. შინაურ მწვრთნელებთან მათ სიზარმაცე „კარგად გამოსდით".

◆ ***რადგან ისევ ტალანტს და შრომისმოყვარეობას შევეხეთ, მინდა გკითხოთ, ფეხბურთში არის თუ არა ტალანტი, როგორც ამბობენ, 90 პროცენტი შრომა?..***

— აბსოლუტური სიმართლეა. მაგრამ არა მხოლოდ ფეხბურთში, თავდაუზოგავი გარჯა სპორტის ყველა სახეობაში და, საერთოდ, ყველა საქმეში აუცილებელია, რაშიაც დიდ მიზანს დაისახავ.

◆ ***თქვენ კარგ მოჭადრაკედაც გიცნობენ და თქვენმა ნათქვამმა ერთი ასეთი ამბავი გამახსენა: წარსულში ცნობილმა მოჭადრაკემ აკიბა რუბინშტეინმა თავისი მიღწევების საიდუმლოება ჟურნალისტის თხოვნით ასე ახსნა: „ჭადრაკის შესწავლას, თეორიის დაუფლებას წელიწადში 300 დღეს ვანდომებ. ამასთან, დღეში, სულ მცირე, 6 საათს მაინც ვმუშაობ. დანარჩენი დღეებიდან 60-ს საჭადრაკო ტურნირებში ან მატჩებში თამაშს ვანდომებ, 5 დღეს კი ვისვენებ. ასე ვგეგმავ ყოველგვარ საჭადრაკო სეზონს"...***

— მართლაც, რომ შესანიშნავი მაგალითი გაიხსენეთ. ხომ ხედავთ, რას ნიშნავს შრომა. მით უფრო, ფეხბურთში. სპორტის ეს სახეობა ყველაზე პოპულარულია მთელ მსოფლიოში და მაყურებელი არ პატიობს სპორსტმენს დაბალ, თუნდაც საშუალო საშემსრულებლო ოსტატობას.

◆ ***განვავრცოთ თემა. როგორ გახდა მანუჩარ მაჩაიძე ფეხბურთში „დიდი მანუჩარი", შრომობდით თავდაუზოგავად?***

— რა თქმა უნდა, ვშრომობდი. თუ ფეხბურთელს ერთი სული აქვს, როდის მორჩება ვარჯიში, ან თავს არიდებს რთულ, მაგრამ აუცილებელ დატვირთვებს, მისგან დიდი ფეხბურთელი არ გამოვა.

◆ ***თქვენი აზრით, რაშია მწვრთნელის ხელოვნება?***

— პირდაპირ გეტყვით, მწვრთნელის უპირატესი ხელოვნებაა შთააგონოს შეგირდს, რომ მხოლოდ შრომა და კიდევ შრომაა მიზნის მიღწევის გარანტი, ცხადია, ბუნებით ნაბოძებ ნიჭთან ერთად.

◆ ***რა გასაკვირია, რომ თქვენ ფეხბურთით ცხოვრობთ დღესაც. სამწუხაროდ, ბევრი არაფერია გულგასახარი ქართულ ფეხბურთში. ალბათ, გიფიქრიათ იმ ნაკლოვანებებზე, რაც ჩვენი ფეხბურთის ჩამორჩენას განაპირობებს. ზემოთ ნაწილობრივ უკვე თქვით თუ როგორ დავძლიოთ თვითდინება და მისი მავნე შედეგები. კიდევ ხომ არაფერს დაამატებდით?***

— ბევრი სათქმელი არაფერია. ახლა უფრო ზემოთქმულს შევაჯამებ. ყველაფერი იწყება ბავშვებთან მუშაობით — წარმატებაც და წარუმატებლობაც. გააჩნია მიდგომას და პროცესებს. სამწუხაროდ, რაიმე სახარბიელო ჯერ ამ მხრივაც არ იკვეთება. საჭიროა მუშაობა ყოველმხრივ ჯანმრთელ მოზარდებთან. ჯანმრთელობა, შეიძლება ითქვას, უპირველესი მოთხოვნაა.

მეორე — საჭიროა კატორღული შრომა; მესამე — რეჟიმის განუხრელი დაცვა, ანუ ჯანსაღი ცხოვრების წესით ცხოვრება პატარაობის ასაკიდანვე.

◆ ***თქვენ იყავით საქართველოს პარლამენტის წევრი და სპორტის კურატორი საკანონმდებლო ორგანოში. როგორ ფიქრობთ, გააკეთეთ ყველაფერი, რისი გაკეთებაც შეიძლებოდა ქართული სპორტის სასარგებლოდ?***

— რისი გაკეთებაც შეიძლებოდა, ალბათ, კი. უხერხულია საკუთარი ნაღვაწის შეფასება. ისე, ამა თუ იმ სფეროში მხოლოდ სურვილზე არაა დამოკიდებული კარგი საქმის თავდადგმა. ეს თქვენც და მკითხველმაც კარგად იცით. ახლა თბილისის საკრებულოს წევრი ვარ. ყველაფერს ვაკეთებ, რომ დედაქალაქში გამოცოცხლდეს სპორტული ცხოვრება. ვფიქრობ სასიკეთო ძვრები, ამ მხრივ, თვალსაჩინოა...

ესაუბრა
**თენგიზ ბაჩეჩილაძე.**

# ქართული ფეხბურთი

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა
Coca-Cola
მინერალური სპონსორი

## შაბათი ჩემპიონატს ეკუთვნის

**საქართველოს თასზე მოასპარეზენი ხვალ, ისევ ჩემპიონატში ჩაებმებიან. გაიმართება მეთვრამეტე ტურის მატჩები.**

ტურის მთავარი მატჩი ეროვნულ სტადიონზე შედგება — თბილისის „დინამო" „ზესტაფონს" უმასპინძლებს. თბილისელებს თასის მეოთხედფინალში განცდილი მარცხისთვის რევანშის საშუალება ეძლევათ. უეჭველია, მატჩი ტრადიციულად უშეღავათო იქნება. თასის ნახევარფინალისტები შინ ითამაშებენ. პირველობის ლიდერი „ვიტ ჯორჯია" თელავის „კახეთს" მცხეთაში მიიღებს. თბილისური დერბი შედგება გლდანში. „ამერი" „ლოკომოტივს" უმასპინძლებს. ბოლნისში კი ტურის კიდევ ერთი გამორჩეული შეხვედრა გაიმართება. „სიონი" მოღონიერებულ ბათუმის „დინამოს" დაუხვდება, აქაც უკომპრომისო ორთაბრძოლაა მოსალოდნელი. ჩემპიონატის აუტსაიდერები გასვლით მატჩებს ჩაატარებენ. გორის „დილა" ქუთაისში ჩავა და „ტორპედოს" დაუპირისპირდება. „თბილისი" ცხინვალელებს გორში შეერკინება. სოხუმელი დინამოელები ბორჯომელებს ესტუმრებიან. შინ ითამაშებს მხოლოდ თბილისის „სპარტაკი", რომელიც ფოთის „კოლხეთს" გაუწევს მეტოქეობას. კვირას მორიგი XXI ტურის მატჩები ჩატარდება პირველ ლიგაშიც. განახლდა რეგიონალური პირველობაც.

### უმაღლესი ლიგა. XVIII ტური

**11 მარტი. ანონსი.**

ტორპედო — დილა
ცხინვალი — თბილისი
დინამო (თბ) — ზესტაფონი
ვიტ ჯორჯია — კახეთი
სიონი — დინამო (ბთ)
ამერი — ლოკომოტივი
ბორჯომი — დინამო (სოხ)
სპარტაკი — კოლხეთი1913

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ვიტ ჯორჯია** | 17 | 13 | 3 | 1 | 36-10 | 42 |
| **სიონი** | 17 | 13 | 2 | 2 | 34-12 | 41 |
| **დინამო (თბ)** | 17 | 12 | 2 | 3 | 29-9 | 38 |
| **ლოკომოტივი** | 17 | 10 | 3 | 4 | 28-13 | 33 |
| **ზესტაფონი** | 17 | 10 | 3 | 4 | 21-12 | 33 |
| **ამერი** | 17 | 10 | 2 | 5 | 20-11 | 32 |
| **ბორჯომი** | 17 | 10 | 1 | 6 | 29-16 | 31 |
| **დინამო (ბთ)** | 17 | 8 | 4 | 5 | 19-12 | 28 |
| **კოლხეთი1913** | 17 | 7 | 2 | 8 | 16-20 | 23 |
| **კახეთი** | 17 | 6 | 1 | 10 | 18-26 | 19 |
| **დილა** | 17 | 5 | 1 | 11 | 21-26 | 16 |
| **ტორპედო** | 17 | 4 | 4 | 9. | 14-24 | 16 |
| **ცხინვალი** | 17 | 4 | 3 | 10 | 14-33 | 15 |
| **დინამო(სოხ)** | 17 | 3 | 1 | 13 | 17-41 | 10 |
| **სპარტაკი** | 17 | 2 | 2 | 13 | 4-33 | 8 |
| **თბილისი** | 17 | 1 | 2 | 14 | 12-34 | 5. |

### პირველი ლიგა. XXI ტური

**12 მარტი. ანონსი.**

მაღაროელი — ლიახვი
ჩიხურა — მეშახტე
გაგრა — თბილისი2
მერანი — საგარეჯო
ამერი2 — მესხეთი
იმედი — ზესტაფონი2
გურია — ზუგდიდი
ვიტ ჯორჯია2 — მეშაქრე
რუსთავი — დინამო2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩიხურა | 20 | 15 | 3 | 2 | 58-21 | 48 |
| მერანი | 20 | 13 | 3 | 4 | 30-13 | 42 |
| გაგრა | 20 | 12 | 5 | 3 | 28-14 | 41 |
| დინამო2 | 20 | 11 | 5 | 4 | 34-12 | 38 |
| ამერი2 | 20 | 11 | 4 | 5 | 28-14 | 37 |
| მეშაქრე | 20 | 10 | 3 | 7 | 31-20 | 33 |
| რუსთავი | 20 | 8 | 7 | 5 | 30-21 | 31 |
| მესხეთი | 19 | 8 | 5 | 6 | 25-22 | 29 |
| გურია | 20 | 8 | 4 | 8 | 30-25 | 28 |
| მეშახტე | 19 | 6 | 7 | 6 | 19-14 | 25 |
| ზუგდიდი | 20 | 6 | 6 | 8 | 10-16 | 24 |
| ვიტ ჯორჯია2 | 20 | 6 | 5 | 9 | 16-22 | 23 |
| საგარეჯო | 20 | 6 | 4 | 10 | 19-24 | 22 |
| თბილისი2 | 20 | 5 | 5 | 10 | 19-30 | 20 |
| იმედი | 20 | 5 | 2 | 13 | 14-38 | 17 |
| ზესტაფონი2 | 20 | 4 | 4 | 12 | 15-35 | 16 |
| მაღაროელი | 20 | 3 | 4 | 13 | 15-44 | 13 |
| ლიახვი | 20 | 4 | 0 | 16 | 16-52 | 12 |

## მცირედითაც კმაყოფილნი



დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის გათამაშების მეოთხედფინალური მატჩები უხვგოლიანობით არ გამოირჩეოდა. თუმცა, დაძაბულობა და სიმძაფრე არც ერთს აკლდა.

ნახევარფინალში გასულმა **თბილისის „ვიტ ჯორჯიამ", „ამერმა"** და **ბოლნისის „სიონმა"** გამარჯვების მისაღწევად თითო გოლი იკმარეს. აღსანიშნავია, რომ ყველა გოლი პირველ ტაიმში გავიდა. ბორჯომში სიონელმა **ბაჯელიძემ** ივარგა, ფოთში ამერელმა **ჩიკვილაძემ** იყოჩაღა, მცხეთაში კი გამარჯვების მომტანი გოლი ვიტელმა **იმედაშვილმა** გაიტანა.

თასის გათამაშების მეოთხედფინალის პირველ მატჩში „ზესტაფონმა" კვლავ აჯობა თბილისის „დინამოს". დინამოელთათვის ზესტაფონური გუნდი, ისევ გადაულახავ ზღუდედ რჩება, როგორც თასზე, ისე ჩემპიონატში. **იონანიძემ** კი ტრადიცია არც ამჯერად დაარღვია და „დინამოს" მორიგი გოლი გაუტანა.

### დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასი

**მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩები**

კოლხეთი — **ამერი** 0-1 (0-0)
ლოკომოტივი — **ვიტ ჯორჯია** 0-1 (1-3)
ბორჯომი — **სიონი** 0-1 (0-1)
ზესტაფონი — დინამო (თბ) 1-0
**(პირველი მატჩი). საპასუხო 18 მარტს გაიმართება.**

### საქართველოს თასი. მეოთხედფინალი. სტატისტიკა. 7 მარტი

**ზესტაფონი. ცენტრალური სტადიონი. 6000 მაყურებელი**

**ზესტაფონი — დინამო (თბ) 1-0**

**ზესტაფონი:** გ. ჭანტურია, თურმანიძე (ბენაშვილი, 82), ს. თოდუა, შ. ლონლაძე, განუგრავა, კ. ჩხეტიანი, ბეალავა (ნუდნი, 60), ფიფია, იმედაძე (ბ. გოცირიძე, 70), გ. ჭელიძე, იონანიძე.

**დინამო:** გრიშიკაშვილი, კ. მახარაძე, გიგაური, ორბელაძე, ნავალოვსკი, ლ. ნოზაძე, ვიეირა (აკობია, 76), შაშიაშვილი, ბობოხიძე, გ. მერებაშვილი (ს. იაშვილი, 46, ა. კალაძე, 80), ამბროზიო.

**გოლი:** 1-0 იონანიძე (72).

**გააფრთხილეს:** გრიშიკაშვილი (28), განუგრავა (73), მახარაძე (75).

**გააძევეს:** მახარაძე (75).

**მსაჯი:** მ. მაისურაძე (თბილისი).

**ბორჯომი. ჯ. ზეინკლიშვილის სახელობის სტადიონი. 1500 მაყურებელი**

**ბორჯომი — სიონი 0-1**

**ბორჯომი:** მამალაძე, საჯაია, ს. ბურნაძე, ლ. მერებაშვილი, ბაქრაძე (შ. ჯიქია, 46), მესხი, გ. ჩხეტიანი (მემარნიშვილი, 79), გაბისკირია (სებალე, 65), აფციაური, გეწაძე, დე პორასი.

**სიონი:** ბათიაშვილი, კობაური, დ. სვანიძე, რაქიაშვილი, ლ. ჭელიძე, ბაჯელიძე, ა. ალავიძე (კვიტაიშვილი, 75), უგრეხელიძე, მიკუჩაძე (ქიქვიშვილი, 60), ხუციშვილი (სირბილაძე, 46).

**გოლი:** 0-1 ბაჯელიძე (31).

**გააფრთხილეს:** მესხი (18), ჩხეტიანი (20), ლ. ჭელიძე (40), გეწაძე (74), სებალე (89).

**მსაჯი:** ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი).

**მცხეთა. სტადიონი „არმაზი". 200 მაყურებელი**

**ლოკომოტივი — ვიტ ჯორჯია 0-1**

**ლოკომოტივი:** ზუხბაია, მიხაილიდი, ობგაიძე, ებრალიძე, ფურთუხია, გულორდავა, ბარბაქაძე, ყიფიანი (მ. ქღენტი, 46), ყნია (მენაბდე, 56), მეტრეველი (ჩივაძე, 46), ალავერდაშვილი.

**ვიტ ჯორჯია:** მიქაბერიძე, პ. დათუნაიშვილი, ა. კვახაძე, თ. კობიაშვილი (დ. ლომაია, 46), გველესიანი, იმედაშვილი (ლ. რაზმაძე, 46), დილმელაშვილი, გ. დათუნაიშვილი, ფეიქრიშვილი (ღუჭაშვილი, 46), ზ. სახოკია, გელაშვილი.

**გოლი:** 0-1 იმედაშვილი (2).

**გააფრთხილეს:** ლომაია (60).

**მსაჯი:** ა. ორდინიძე (ონი).

**ფოთი. სტადიონი „ფაზისი". 1000 მაყურებელი**

**კოლხეთი — ამერი 0-1**

**კოლხეთი:** ხარძეიშვილი, ზ. რაზმაძე, ჯ. შალამბერიძე, ფარულავა, ვართაგავა, ქობულაძე, კრასოვსკი, დ. ნარსია (წაბრია, 78), ზ. ჯანაშია, მარგალიტაძე, ზ. ქუთათელაძე (წიქარიშვილი, 55).

**ამერი:** ნადირაშვილი, დავითნიძე, ჩიკვილაძე, ბერიანიძე, ვ. ხვადაგიანი, დეკანოსიძე (გარუჩავა, 68), დოლიძე (კედელაშვილი, 86), სევასტოპულო, დობროვოლსკი, კაიდარაშვილი, ს. დავითაშვილი (წინამძღვრიშვილი, 88).

**გოლი:** 0-1 ჩიკვილაძე (37).

**გააფრთხილეს:** სევასტოპულო (40), რაზმაძე (74).

**მსაჯი:** გ. ვადაჭკორია (თბილისი).

## რეგიონალური ლიგა

**ცენტრალური. XIX ტური**

ბორჯომი2 — ამირანი 1-1
ზოოვეტი — მეტეხი (ყოფილი თბილისი) 1-0
გორი — ივერია 3-0
სკონ-აკადემია — 35-ე სკ. 1-1
ჩიხურა2 — პეტროვიჩი 4-1

**დასავლეთი . სამეგრელო. XV ტური.**

მგლები — კოლხეთი (ხ) 2-1
თოლია — სამეგრელო 2-2
დინამო (ზ) — კოლხეთი2 (ფ) 1-1
სალხინო — სქური (გადაიდო)

**აღმოსავლეთი. XVI ტური**

ალგეთი — დილომი 0-3
ერთობა — ნ. დინამო2 0-1
კახეთი2 — გარეჯი 1-2
ცხუმი — ნ. დინამო 0-3
სამგორი — დურუჯი 1-0
ხალიბი — ამერი3 1-4
ოჩამჩირე — მაუდი 2-2
ამირანი — ალაზანი 1-0

**ცენტრალური**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბორჯომი2 | 19 | 13 | 2 | 4 | 41-21 | 41 |
| ჩიხურა-2 | 19 | 12 | 4 | 3 | 51-17 | 40 |
| ზოოვეტი | 19 | 12 | 4 | 3 | 29-12 | 40 |
| აკადემია | 19 | 10 | 2 | 7 | 31-18 | 32 |
| ამირანი(თბ) | 19 | 9 | 1 | 9 | 29-27 | 28 |
| გორი | 19 | 7 | 5 | 7 | 36-29 | 26 |
| ივერია | 19 | 6 | 4 | 9 | 16-28 | 22 |
| 35-ე სკ. | 19 | 5 | 4 | 10 | 29-35 | 19 |
| მეტეხი | 19 | 4 | 0 | 15 | 19-58 | 12 |
| პეტროვიჩი | 19 | 2 | 4 | 13 | 18-52 | 10 |

**სამეგრელო**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოლხეთი (ხ) | 15 | 9 | 3 | 3 | 28-12 | 30 |
| მგლები | 15 | 8 | 4 | 3 | 27-15 | 28 |
| კოლხეთი2(ფ) | 15 | 8 | 3 | 4 | 32-19 | 27 |
| სქური | 14 | 8 | 2 | 4 | 26-15 | 26 |
| თოლია | 15 | 5 | 4 | 6 | 23-22 | 19 |
| დინამო (ზ) | 15 | 5 | 3 | 7 | 23-34 | 18 |
| სალხინო | 14 | 4 | 0 | 10 | 19-40 | 12 |
| სამეგრელო | 15 | 1 | 3 | 11 | 15-36 | 6 |

**აღმოსავლეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ომც დილომი | 16 | 13 | 2 | 1 | 40-7 | 41 |
| ამერი3 | 16 | 11 | 4 | 1 | 40-7 | 37 |
| ნ. დინამო | 16 | 11 | 4 | 1 | 38-7 | 37 |
| ნ. დინამო2 | 16 | 11 | 3 | 2 | 29-12 | 36 |
| ოჩამჩირე | 16 | 9 | 2 | 5 | 37-22 | 29 |
| ცხუმი | 16 | 9 | 1 | 6 | 40-26 | 28 |
| სამგორი | 16 | 8 | 2 | 6 | 35-32 | 26 |
| მაუდი | 16 | 6 | 5 | 5 | 20-20 | 23 |
| გარეჯი | 16 | 6 | 3 | 7 | 15-14 | 21 |
| კახეთი2 | 16 | 5 | 4 | 7 | 22-17 | 19 |
| ხალიბი | 16 | 5 | 3 | 8 | 18-24 | 18 |
| ალაზანი | 16 | 4 | 2 | 10 | 8-24 | 14 |
| ამირანი | 16 | 4 | 2 | 10 | 21-33 | 14 |
| ალგეთი | 16 | 3 | 3 | 10 | 21-18 | 12 |
| დურუჯი | 16 | 1 | 2 | 13 | 12-55 | 5 |
| ერთობა | 16 | 0 | 2 | 14 | 11-59 | 2 |

## ქართველები რუსეთში



მალე რუსეთის ჩემპიონატი დაიწყება. მასში ტრადიციულად ქართველი ფეხბურთელებიც იასპარეზებენ. ზოგიერთი — პრემიერლიგაში, ზოგიერთი — ქვედა ლიგაში. ვლადიკავკაზის „ალანიიდან" წამოსული **ლევან გვაზავა** ახლა პირველი ლიგის ტოლიატის „ლადაში" ვარჯიშობს და სეზონის ბოლომდე იქ დარჩენა სურს.

ლატვიიდან რუსეთში გადავიდა მცველი **ლევან მიქაძე.** მან კონტრაქტი გააფორმა კალინინგრადის „ბალტიკასთან", რომელიც, ასევე რუსეთის პირველ ლიგაში ასპარეზობს.

საქართველოს ეროვნული ნაკრების ფორვარდი **მიხეილ აშვეთია** მოსკოვის „ლოკომოტივს" დაუბრუნდა, მაგრამ პირველ ხანებში რკინიგზელთა მეორე გუნდში ითამაშებს. აქამდე იგი „როსტოვში" იყო განათხოვრებული.



მისი თანაგუნდელი ნაკრებსა და „ლოკომოტივში" **მალხაზ ასათიანი** კი ტრავმირებულია. ვარჯიშისას მან ლავიწის ძვალი გაიტეხა. გუნდი ესპანურ შეკრებაზეა და ჩვენებურს ოპერაცია იქვე გაუკეთეს. ესპანელი ექიმების წინასწარი დიაგნოზით მალხაზს ორი თვე მოუწევს ტრავმის მოშუშება და უქმად ყოფნა. შესაბამისად, იგი ვერც რუსეთის პირველობას დაიწყებს 18 მარტს და ვერც ალბანელებს დაუპირისპირდება 22 მარტს სანაკრებო შეხვედრაში.

### საქართველოს ჩემპიონატი ფუტსალში

**გუშინ** დასრულდა ფუტსალში საქართველოს ჩემპიონატის ოთხწლიანი ტურნირი, რომლის შემდეგაც გამოვლინდა ის ოთხი გუნდი, რომლებიც მედლებისთვის ბრძოლას პლეი-ოფებში გააგრძელებს. საუკეთესო ოთხეულის ნახევარფინალური მატჩები 10-12-14 აპრილს, ფინალური მატჩები კი 15-17-19 მაისს გაიმართება და გამოვლინდებიან საქართველოს 2006 წლის ჩემპიონი და პრიზიორები ფუტსალში.. ოთხწრიანი ტურნირის შემდეგ კი პლეი-ოფში გუნდები ასე დაწყვილდნენ:

**საბურთალო – იბერია**
**ნიკორა – ცენტრპოინტი**

აქვე გაცნობებთ, რომ საფეხბურთო კლუბი „ცენტრპოინტი" გუშინ გაემგზავრა აზერბაიჯანში, ქ ბაქოში, სადაც საერთაშორისო ტურნირში იასპარეზებს.

**XXXIV ტური**

ცენტრპოინტი — იმედი 18-8
იბერია — ქართლი 11-0
ბერმუხა — ნიკორა 9-8
სოხუმი — აჭარა 3-0

**XXXV ტური**

ნიკორა — აჭარა 3-0
ქართლი — ცენტრპოინტი 0-3
ბერმუხა — საბურთალო 7-8
იმედი — იბერია 3-9

**XXXVI ტური**

ცენტრპოინტი — იბერია (20.03)
ქართლი — იმედი 4-5
საბურთალო — აჭარა 3-0
ნიკორა — სოხუმი 6-9

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცენტრპოინტი | 31 | 28 | 1 | 2 | 282-119 | 85 |
| იბერია | 31 | 26 | 2 | 3 | 209-88 | 80 |
| საბურთალო | 32 | 21 | 4 | 7 | 249-171 | 67 |
| ნიკორა | 32 | 18 | 1 | 13 | 159-140 | 55 |
| ბერმუხა | 32 | 14 | 2 | 16 | 186-201 | 44 |
| აჭარა | 32 | 9 | 1 | 22 | 134-193 | 28 |
| იმედი | 32 | 8 | 2 | 2 | 151-291 | 26 |
| ქართლი | 32 | 7 | 3 | 22 | 136-210 | 24 |
| სოხუმი | 32 | 3 | 2 | 27 | 147-310 | 11 |

## ბურდული «დინამოში» ბრუნდება





საქართველოს ეროვნული ნაკრების და ოსური „ალანიას" ქართველი ნახევარმცველი **ლადო ბურდული** თბილისში ყოფილ კლუბში დაბრუნდება. სატრანსფერო პერიოდში ფეხბურთელი სასურველი კლუბის ძიებაში იყო, საკმაო ვარიანტებიც ჰქონდა, მაგრამ სხვადასხვა მიზეზით ყველაფერი ჩაიშალა. ლადომაც უკლუბოდ დარჩენას ისევ თბილისის „დინამოში" თამაში არჩია. იგი თბილისელთა ღირსებას დროებით, სეზონის ბოლომდე დაიცავს. გუშინ ცნობილი გახდა, რომ თბილისი „დინამოს" **ვიტალი დარასელიაც** დაუბრუნდა.

## ახალგაზრდებს მოლდაველები მოემსახურებიან

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები 2007 წლის ევროპის ჩემპიონატის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე მალტის ნაკრებს დაუპირისპირდება. **12 აპრილს** მასპინძლები მალტელები იქნებიან. 26 აპრილს კი კუნძულელებს შინ მივიღებთ. მატჩი, სავარაუდოდ, ზესტაფონში გაიმართება. მსაჯები კი მოლდაველები იქნებიან — **ვიაჩესლავ ბანარი, ანატოლი ბოდეანი, ვალერი გუტუ** და **გენადი ორლიკი.** მალტური ბარიერის გადალახვის შემთხვევაში საქართველოს ნაკრები ჯგუფურ ეტაპზე იასპარეზებს, სადაც სერბებს და ლიტველებს დაუპირისპირდება. მომდევნო ეტაპზე ჯგუფის გამარჯვებული გავა.

## ცანკერი დასავლეთსა და აღმოსავლეთში

**საქართველოს 17-წლამდე ჭაბუკთა ნაკრების გერმანელი მწვრთნელი ჰერბერტ ცანკერი სასელექციო მუშაობას აგრძელებს. ფეხბურთელთა შერჩევისათვის, მან უკვე მოიარა დასავლეთ საქართველო, სამშაბათს კი აღმოსავლეთისკენ გაეშურება. მანამდე, დღეს და ხვალ, ტექნიკურ ცენტრში კიდევ 30-მდე ფეხბურთელს დააკვირდება და საუკეთესოთა მონაცემებს დღიურში ჩაინიშნავს. თვის ბოლოს იგი სამცხე-ჯავახეთსაც ეწვევა.**

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## „ლივერპული“ და „რეალი“ ჩემპიონთა ლიგას გამოეთიშნენ

გაიმართა უეფას ჩემპიონთა ლიგის განმეორებითი მერვედფინალური შეხვედრები. სამშაბათის შეხვედრებიდან განსაკუთრებული ინტერესი „ბარსელონას“ და „ჩელსის“ დაპირისპირებამ გამოიწვია. ცნობილია, რომ პირველი შეხვედრა კატალონიელებმა სტუმრად 2-1 მოიგეს. რომან აბრამოვიჩის გუნდს, ცხადია, მხოლოდ გამარჯვება ესაჭიროებოდა, თუმცა, მთავარ მწვრთნელს ჟოზე მოურინიოს კარგად ესმოდა, რომ ეს „კამპ ნოუზე“ ძნელი საქმე იყო. „ჩელსიმ“ პირველივე წუთებიდან პრესინგს მიმართა და სახიფათო კონტრშეტევების განხორციელებას ცდილობდა.

ფრანკ რაიკაარდის შეგირდებმა კომბინაციური ფეხბურთი აჩვენეს. მოედანზე, როგორც ყოველთვის, რონალდინიო ბრწყინავდა. სწორედ მან 78-ე წუთზე 19 მეტრი მანძილიდან ულამაზესი ბურთი გაიტანა და „ჩელსის“ ქომაგებს შემდგომ ეტაპზე გასვლის ყოველგვარი იმედი გადაუწურა. მართალია, მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე „ბარსელონას“ კარში დანიშნული თერთმეტმეტრიანი ზუსტად გამოიყენა ფრენკ ლემპარდმა, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა რომან აბრამოვიჩის გუნდისათვის შემდეგ ეტაპზე გასასვლელად — 1-1.



ტურინის „იუვენტუსს“ გასვლითი შეხვედრა 2-3 ჰქონდა წაგებული ბრემენის „ვერდერთან“. თითქოსდა, იტალიის ჩემპიონისათვის ძნელი არ უნდა ყოფილიყო „დელე ალპიზე“ ბრემენელთა დამარცხება თუნდაც მინიმალური ანგარიშით, მაგრამ... „ბებერი ქალბატონი“ კინაღამ ჩემპიონთა ლიგას დაემშვიდობა. პირველი ნახევრის შემდეგ „იუვენტუსი“ 0-1 აგებდა (ანგარიში მე-13 წუთზე მიკუმ გახსნა). 53-ე წუთზე გერმანულ კლუბს მეორე ბურთის გატანაც შეეძლო. ბოროვსკის დარტყმა მიზანს ოდნავ ასცდა. ამის შემდეგ კაპელო ვა-ბანკზე წავიდა — შეტევაში ჩართო დელ პიერო და მუტუ. ამ ნაბიჯმა გაამართლა. მალე მასპინძლებმა წონასწორობა აღადგინეს — ტრეზეგემ კომბინაცია გაითამაშა პაველ ნედვედთან და შემდეგ ეფექტურად დაარტყა. „ვერდერის“ გოლკიპერი უძლური აღმოჩნდა — 1-1.

შეხვედრის დასრულებას 2 წუთი აკლდა, როცა ემერსონმა გაიტანა ბურთი, რომელმაც ორი მატჩის ჯამში მეოთხედფინალური ეტაპის საგზური მოუტანა ტურინის „იუვენტუსს“ — 2-1.

მეოთხედფინალში გავიდა ჩემპიონთა ლიგის დებიუტანტი — ესპანური კლუბი „ვილიარეალი“, რომელმაც „რეინჯერსთან“ ორივე მატჩი ფრედ დაასრულა — სტუმრად 2-2, შინ — 1-1 და შემდეგ ეტაპზე გლაზგოში გატანილმა ორმა ბურთმა გაიყვანა.

ესპანეთში „რეინჯერსი“ 49-ე წუთამდე იგებდა 1-0 ლოვენკრანდის მიერ პირველ ნახევარში გატანილი ბურთის წყალობით, მაგრამ არუაბარენამ „ვილიარეალის“ სასარგებლოდ მეტად საჭირო ბურთი გაიტანა. ანგარიში გათანაბრდა და ბოლომდე შენარჩუნდა, რაც მასპინძლებს ხელს აძლევდათ.

ოთხშაბათის შეხვედრებიდან ცენტრალური დაპირისპირება, ალბათ, ლონდონის „არსენალისა“ და მადრიდის „რეალის“ შეხვედრა იყო. მოგეხსენებათ, პირველ მატჩში არსენ ვენგერის გუნდმა სენსაციური გამარჯვება მოიპოვა „სანტიაგო ბერნაბეუზე“. ბევრ გულშემატკივარს სჯეროდა, რომ „რეალი“ ლონდონურ „ჰაიბერიზე“ შეძლებდა რევანშის აღებას, მაგრამ ასე არ მოხდა. რა თქმა უნდა, მადრიდელები თავგამოდებით ცდილობდნენ ბურთის გატანას, მაგრამ ლონდონის „არსენალის“ ფეხბურთელები საიმედოდ თამაშობდნენ დაცვაში. მთელი 90 წუთი ისე გაილია, რომ მაყურებელმა გოლი ვერ იხილა. ცხადია, ეს შედეგი ლონდონელებს აძლევდათ ხელს. ესპანეთის „სამეფო კლუბი“, რომელიც უკვე აშკარა კრიზისშია, ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალის მიღმა აღმოჩნდა.

მოულოდნელად წააგო საკუთარ მოედანზე „ლივერპულმა“. ჩემპიონთა ლიგის შარშანდელმა გამარჯვებულმა ვერაფერი გააწყო პორტუგალიური „ბენფიკას“ წინააღმდეგ. ანგარიში 36-ე წუთზე გახსნა სიმაომ. ამის შემდეგ მასპინძლები ფლობდნენ აშკარა უპირატესობას. მათ 21-ჯერ დაარტყეს მეტოქის კარის მიმართულებით, თუმცა, უშედეგოდ. შეხვედრის დასრულებამდე ერთი წუთით ადრე მიკოლმა მეორე ბურთით გაუტანა უკვე იმედგადაწურულ „ლივერპულს“.

ფეხბურთის ქართველ გულშემატკივართა ყურადღება, ცხადია, „მილანი“ — „ბაიერნის“ შეხვედრისკენ იყო მიმართული. და ეს არცაა გასაკვირი. მილანელთა გუნდის ძირითად შემადგენლობაში ბოლო პერიოდში ადგილი დაიმკვიდრა კახი კალაძემ. ეს მალდინის არყოფნითაა გამოწვეული. კახიმ 90 წუთის განმავლობაში დაჰყო მოედანზე და თავისი წვლილი შეიტანა გუნდის წარმატებაში, ბოლო წუთები კაპიტნის როლშიც იყო... „მილანმა“ ეს შეხვედრა ბრწყინვალედ ჩაატარა და დამაჯერებლად დაამარცხა მიუნხენური კლუბი. ანგარიში უკვე მე-8 წუთზე გახსნა ფილიპო ინძაგიმ. შუა ტაიმში შევჩენკომ გამოიჩინა თავი. გერმანულ კლუბს მატჩის შემოტრიალების იმედი ჩაუსახა ისმაელის მიერ 35-ე წუთზე გატანილმა საპასუხო ბურთმა, მაგრამ მეორე ტაიმში ოლივერ კანმა კიდევ ორი ბურთი გაუშვა ინძაგისაგან და კაკასაგან. „მილანმა“ საბოლოოდ 4-1 იმარჯვა და შემდგომ ეტაპზე გავიდა. ანგარიში შეიძლებოდა უფრო მეტიც ყოფილიყო, ანდრეი შევჩენკოს პირველ ტაიმში ზუსტად რომ გამოეყენებინა „ბაიერნის“ კარში დანიშნული თერთმეტმეტრიანი.

ფრანგულმა „ლიონმა“ ჰოლანდიური პსვ გაანადგურა — 4-0. პირველი მატჩიც მოგებული ჰქონდა 1-0.



### ჩემპიონთა ლიგა. განმეორებითი მატჩების სტატისტიკა.

**იუვენტუსი — ვერდერი 2-1 (პირველი მატჩი 2-3)**
**იუვენტუსი:** ბუფონი, ძებინა, ტურამი, კანავარო, ძამბროტა (ბალცარეტი, 70), კამორანეზი (მუტუ, 57), ემერსონი, ვიეირა, ნედვედი, იბრაჰიმოვიჩი (დელ პიერო, 57), ტრეზეგე.
**ვერდერი:** ვიზე, ოვომოიელა, ფარენჰორსტი, ნალდო, შულცი, ბაუმანი (პასანენი, 73), ფრინგსი, ბოროვსკი, მიკუ, კლოზე, კლასნიჩი (ვალდესი, 81).
**გოლები:** 0-1 მიკუ (13), 1-1 ტრეზეგე (65), 2-1 ემერსონი (88).



**ბარსელონა — ჩელსი 1-1 (2-1)**
**ბარსელონა:** ვალდესი, ოლეგერი, პუიოლი, ედმილსონი, მარკესი, ვან ბრონკჰორსტი, დეკუ, მოტა, რონალდინიო, მესი (ლარსონი, 25), ეტო'ო.
**ჩელსი:** ჩეხი, პაულუ ფერეირა, რიკარდო კარვალიო, ტერი, გალასი, მაკელელე, ლემპარდი, ჯ. კოული (ჰუთი, 83), დროგბა (კრესპო, 58), რობენი, დაფი (გუდიონსენი, 58).
**გოლები:** 1-0 რონალდინიო (78), 1-1 ლემპარდი (90 პენ).

**ვილიარეალი — რეინჯერსი 1-1 (2-2)**
**ვილიარეალი:** ვიერა, ხავი ვენტა (ფონტი, 46), გონსალო როდრიგესი, არუაბარენა, ხოსიკო, სენა, პენია, ტაკინარდი, რიკელმე (კალეხა, 86), ფორლანი, ხოსე მარი (ფრანკო, 46).
**რეინჯერსი:** ვატერეუსი, ჰატონი, კირიაკოსი, მიურეი, ხულიან როდრიგესი, ფერგიუსონი, ემდანი, ბერკი (ნოვო, 87), ბუფელი (ბოიდი, 64), ლოვენკრანდსი, ნამუში.
**გოლები:** 0-1 ლოვენკრანდსი (12), 1-1 არუაბარენა (49).

**არსენალი — რეალი 0-0 (1-0)**
**არსენალი:** ლემანი, სენდეროსი, ებუე, კოლო ტურე, ფლამინი, ჟილბერტო, გლები (ბერგკამპი, 87), ფაბრეგასი, ლიუნგბერგი, რეიესი (პირესი, 67), ანრი.
**რეალი:** კასილიასი, სალგადო (რობინიო, 84), რობერტო კარლოსი, სერხიო რამოსი, რაულ ბრავო, გრავესენი (ჟულიო ბაპტისტა, 63), გუტი, ბექჰემი, ზიდანი, რაული (კასანო 73), რონალდო.

**ლივერპული — ბენფიკა 0-2 (0-1)**
**ლივერპული:** რეინა, ფინენი, ტრაორე, კარაგერი, ჩაბი ალონსო, ჟორნოკი (ჰამანი, 70), ლუის გარსია, ჯერარდი, კიუელი (სისე, 63), კრაუჩი, მორიენტესი (ფაულერი, 70).
**ბენფიკა:** მორეტო, ანდერსონი, ლუიზაო, ლეო, ჯოვანი (კარაგუნისი, 60), ალსიდესი, მანუელ ფერნანდესი, ბეტო, სიმაო, ნუნუ გომეში (მიკოლი, 77), რობერი (რიკარდო როჩა, 70).
**გოლები:** 0-1 სიმაო (36), 0-2 მიკოლი (89).

**მილანი — ბაიერნი 4-1 (1-1)**
**მილანი:** დიდა, სტამი, კალაძე, ნესტა, სერჟინიო, ფოგელი, ზეედორფი, პირლო, კაკა (რუი კოშტა, 86), შევჩენკო (ამბროზინი, 77), ინძაგი (ჯილარდინო, 72).
**ბაიერნი:** კანი, სანიოლი, ლუსიო, დემიკელისი, მაკაი (გერერო, 46), ბალაკი, პისარო, ისმაელი, დაისლერი (შოლი, 63), შვაინშტაიგერი, ლიზარაზუ (ზე რობერტო, 52).
**გოლები:** 1-0 ინძაგი (8), 2-0 შევჩენკო (25), 2-1 ისმაელი (35), 3-1 ინძაგი (47), 4-1 კაკა (59).

**ლიონი — ეინდჰოვენი 4-0 (1-0)**
**ლიონი:** კუპე, კრისი, მიულერი, დიარა, ჟუნინიო (პედრეტი, 76), კარუ (ფრედი, 65), მალუდა, აბიდალი, ტიაგო (კლემანი, 80), ვილტორი, კლერკი.
**ეინდჰოვენი:** გომესი, რაისიგერი, ალექსი (ალატი, 76), სიმონსი, კოკუ, კონე, კულინა (ვაირინენი, 57), ლუსიუსი, ფარფანი (ბისლი, 57), ადო, აფელეი.
**გოლები:** 1-0 ტიაგო (26), 2-0 ტიაგო (45), 3-0 ვილტორი (71), 4-0 ფრედი (90).
**გააძევეს:** კოკუ (ეინდჰოვენი, 43).

## ფაბრეგასს „რეალი“ არ აინტერესებს

ცნობილია, რომ მადრიდის „რეალის“ ხელმძღვანელობა დაინტერესდა ლონდონის „არსენალის“ მოთამაშით ფრანცესკ ფაბრეგასით. თვით ფეხბურთელმა ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა, რომ მის გეგმებში არ შედის „სამეფო კლუბში“ გადასვლა. ფაბრეგასს სურს, რომ 2011 წლამდე დაიცვას „არსენალის“ ღირსება. ეს ფეხბურთელი პერსპექტიულად მიიჩნევა. იგი ესპანეთის ნაკრების მოთამაშეცაა. ადვილი შესაძლებელია, მან მსოფლიო ჩემპიონატზე ითამაშოს. რაც შეეხება იმას, რომ ფაბრეგასს სრულებითაც არ აინტერესებს „რეალი“, ამაზე თვით ფეხბურთელმა თქვა: „სასიამოვნოა, რომ ჩემით დაინტერესდა ისეთი პოპულარული კლუბი, როგორიც „რეალია“, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ მე კონტრაქტი მაქვს გაფორმებული „არსენალთან“ 2011 წლამდე. კმაყოფილი ვარ ლონდონურ კლუბში თამაშით და სულაც არ ვაპირებ მის დატოვებას“.

## კასანო იტალიაში არ დაბრუნდება

მადრიდის „რეალის“ ფორვარდის ანტონიო კასანოს აგენტმა ჯუზეპე ბოცომ ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა, რომ ბოლო დროს გავრცელებული ინფორმაციები მისი კლიენტის იტალიაში დაბრუნების შესახებ, სიმართლეს არ შეესაბამება. „ანტონიო გააგრძელებს ასპარეზობას „რეალში“. ის კლუბის ერთ-ერთი მთავარი ნაწილია. კასანოსადმი დიდი ნდობა გამოხატა „სამეფო კლუბის“ ხელმძღვანელობამ, რომელმაც შემადგენლობის გადახალისების პროცესი დაიწყო“, — განაცხადა ჯუზეპე ბოცომ.

## შერინგემი ასაკს ვერ ეგუება

„მანჩესტერ იუნაიტედისა“ და ინგლისის ნაკრების ექსფორვარდმა ტედი შერინგემმა თავის ამჟამინდელ კლუბ „ვესტ ჰემთან“ ახალი კონტრაქტი გააფორმა.

1999 წლის ჩემპიონთა ლიგის დაუვიწყარი ფინალის გმირი ლონდონის „ვესტ ჰემს“ 2004 წლის ზაფხულში თავისუფალი აგენტის სტატუსით შეუერთდა და „ჩაქუჩების“ შემადგენლობაში ჩატარებულ 53 მატჩში 26 გოლის გატანაც მოახერხა. კლუბის ხელმძღვანელობამ 39 წლის ფეხბურთელთან მოქმედი ხელშეკრულება 2007 წლამდე გაახანგრძლივა.

„გვიხარია, რომ ტედი დარჩენაზე დავიყოლიეთ. შერინგემი გუნდის ახალგაზრდა ფეხბურთელთათვის სამაგალითო პიროვნება და უდიდესი პროფესიონალია,“ - განაცხადა „ვესტ ჰემის“ დამრიგებელმა ალან პარდიუმ.

## ლუჩესკუმ თურქები იუარა

დონეცკის „შახტარის“ რუმინელმა თავკაცმა მირჩა ლუჩესკუმ თურქეთის ნაკრების გაწვრთნაზე უარი განაცხადა. „თურქეთის ფეხბურთის ფედერაციისგან ოფიციალური შეთავაზება მივიღე, მაგრამ უარის თქმა მომიწია. „შახტარის“ თავკაცის პოსტზე თავს მშვენივრად ვგრძნობ და ამ კლუბთან კონტრაქტის გაწყვეტას ნამდვილად არ ვაპირებ“, - განაცხადა ლუჩესკუმ.

ამბობდნენ, რომ ლუჩესკუს სტამბოლის „ფენერბახჩეც“ ეპატიჟებოდა, მაგრამ რუმინელმა სპეციალისტმა ეს ინფორმაცია უარყო. მწვრთნელმა აღნიშნა, „ფენერის“ შეფებისგან ოფიციალური წინადადება კიდეც რომ მიმეღო, მათ მაინც უარს შევუთვლიდიო.

## პლატინიმ ბრაზილიელები გამოარჩია

სახელგანთქმულმა ფრანგმა მიშელ პლატინიმ Sky Sport-ისთვის მიცემულ ინტერვიუში მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის ფავორიტებზე ისაუბრა:

„მთავარი ფავორიტი ბრაზილიის ნაკრებია. შესაძლოა, ეს ყველა დროის საუკეთესო გუნდიც კი იყოს. კარლოს ალბერტო პარეირა დილემის წინაშე აღმოჩნდა. მის განკარგულებაში რამდენიმე სუპერშემტევია - კაკას, რობინიოს, რონალდინიოს, რონალდოსა და ადრიანოს შორის არჩევანის გაკეთება ნამდვილი თავისტკივილია. მე თუ მკითხავთ, ადრიანოსა და რონალდოს სამი დანარჩენიდან ერთ-ერთი უნდა დაუმატოთ და საოცნებო შემტევი ხაზიც მზადაა.

მონდიალზე ფრანგებსა და იტალიელებსაც ძლიერი გუნდები ჰყოლებათ. ამ უკანასკნელთა ნაკრებიდან ფრანჩესკო ტოტის გამოვარჩევდი. თანამედროვე ფეხბურთში სულ რამდენიმე მოთამაშეს შეუძლია პუბლიკის მოჯადოება. ტოტისა და რონალდინიოს ნებისმიერ მომენტში ძალუძთ საფეხბურთო შედევრის შექმნა და მატჩის ბედის გადაწყვეტა.

ტოტის თავის ნაკრებთან ერთად ტიტულები არ მოუპოვებია. იცით, რატომ? იმიტომ, რომ ბოლო წლებში იტალიელთა სვლას ფრანგები აჩერებდნენ... ასე მოხდა 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე და ევრო-2000-ის ფინალში. ჩემი აზრით, „სკუადრა აძურას" დამრიგებელმა მარჩელო ლიპიმ პენალტების შესრულების დახვეწას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს“, - განაცხადა მიშელ პლატინიმ.

## მსაჯი ქრთამის აღებისთვის დააკავეს

ვიეტნამის უმაღლესი დივიზიონის კლუბ „საიგონის“ ყოფილი ფეხბურთელი, ბოლო პერიოდში მსაჯად მომუშავე ტრუონგ ტან ხაი ქრთამის აღების ბრალდებით დააპატიმრეს. ადგილობრივი სამართალდამცავების მტკიცებით, ტან ხაიმ 2000 წელს 100 მილიონი დონგი (დაახლოებით 6250 დოლარი) აიღო ქრთამის სახით, რათა კლუბ „სონგ ლანგ ნგე ანისათვის“ ქვეყნის ჩემპიონის ტიტულის მოპოვებაში დახმარებოდა. ქრთამის მიმცემი ამავე კლუბის ყოფილი მწვრთნელი ტუი-ტრე იყო, რომელიც ამა წლის იანვარში დააკავეს.

## ლატვიელები ამერიკელებს ხვდებიან

ლატვიის ფეხბურთის ფედერაციამ მიაღწია შეთანხმებას აშშ-ის ნაკრებთან ამხანაგური მატჩის ჩატარებასთან დაკავშირებით მიმდინარე წლის 28 მაისს. შეგახსენებთ, რომ აშშ-ის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპისათვის ემზადება.

## ზიმბაბვეს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ქურდობისათვის დააპატიმრეს

ზიმბაბვეს სამართალდამცავმა ორგანოებმა მოულოდნელად დააპატიმრეს ამავე ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი რაფიკ ხანი, როცა ეს უკანასკნელი იოჰანესბურგიდან ბრუნდებოდა ჰარარეში. დაპატიმრების მიზეზი იყო ის, რომ 17 წლის წინ რაფიკმა ავტომობილიდან ნივთები მოიპარა. თავის დროზე, - 1992 წელს სასამართლომ ორი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა დამნაშავეს, თუმცა, რაფიკმა აპელაცია შეიტანა და 14 წლის განმავლობაში თავისუფალი იყო. როგორც ჩანს, ზიმბაბვეს სასამართლოს ძველი საქმე არ დავიწყებია და მიიღო განაჩენი ამჟამად უკვე ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის დაპატიმრების თაობაზე. რაფიკ ხანს აქვს უფლება, გადაწყვეტილება უმაღლეს სასამართლოში გაასაჩივროს.

## ალექს მაკლიში „სანდერლენდს“ უხელმძღვანელებს?

ცნობილია, რომ სეზონის დასრულებისთანავე შოტლანდიური „გლაზგო რეინჯერსის“ მთავარი მწვრთნელის პოსტს ტოვებს ცნობილი სპეციალისტი ალექს მაკლიში. თუ ინგლისურ პრესას დავუჯერებთ, მაკლიშმა შესაძლოა ‘სანდერლენდი“ ჩაიბაროს... აქვე შეგახსენებთ, რომ ბოლოდროინდელი წარუმატებლობის ფონზე ეს გუნდი დატოვა მწვრთნელმა მიკ მაკარტიმ.

# ნბა

## ჯონსონი – 42, ფაჩულია – 11



გაიმართა ნბა-ს რეგულარული ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები. ოთხშაბათის თამაშებიდან მეტად საინტერესო გამოდგა „კლიპერსისა" და „სან ანტონიოს" მატჩი. დასავლეთ კონფერენციის ლიდერმა „სან ანტონიომ" ვერაფერი გააწყო მეტოქესთან და დამარცხდა 13 ქულის სხვაობით — 85:98. ეს წარუმატებლობა, ალბათ, თიმ დანკანის არცთუ შედეგიანმა თამაშმა განაპირობა. ამ კალათბურთელმა, რომელიც „სან ანტონიოს" ლიდერად ითვლება, მხოლოდ 16 ქულის მოგროვება მოახერხა. „კლიპერსის" შემადგენლობაში კი საუკეთესო იყო ბრენდი, რომლის ანგარიშზე 30 ქულაა.

ზაზა ფაჩულიას „ატლანტამ" წარმატებით იასპარეზა საკუთარ მოედანზე „გოლდენ სტეიტის" წინააღმდეგ. მასპინძელთა რიგებში ბრწყინავდა ჯო ჯონსონი, რომელმაც 42 ქულა მოაგროვა და 9 შედეგიანი გადაცემა შეასრულა. რაც შეეხება ქართველ კალათბურთელს, მისი მონაგარი 11 ქულა იყო. გარდა ამისა ზაზამ 10-ჯერ მოხსნა ბურთი ფარიდან. აღსანიშნავია, რომ ამ შეხვედრაში 42 ქულა კიდევ ერთმა კალათბურთელმა მოაგროვა — „გოლდენ სტეიტის" მოთამაშემ რიჩარდსონმა, თუმცა, მას თანაგუნდელებმა მხარი ვერ აუბეს.

**სხვა შეხვედრები:** „კლივლენდი" — „ტორონტო" 106:99, „ინდიანა" — „ნიუ იორკი" 92:107, „ვაშინგტონი" — „ბოსტონი" 115:116 (ო.ტ.), „მინესოტა" — „ჰიუსტონი" 87:93, „დალასი" — „პორტლენდი" 93:87, „ჩიკაგო" — „ნიუ ჯერსი" 95:87.

გუშინ აღმოსავლეთ კონფერენციის ერთპიროვნულმა ლიდერმა „დეტროიტმა" მორიგი გამარჯვება მოიპოვა. ამჯერად „ჩიკაგო" დაამარცხა 105:106. აუტსაიდერმა „შარლოტამ" „გოლდენ სტეიტს" სძლია 3 ქულის სხვაობით.

დამარცხდა „ფილადელფია". ალენ აივერსონმა და მისმა თანაგუნდელებმა ვერაფერი მოახერხეს „ბოსტონის" წინააღმდეგ — 101:104. თვით აივერსონის ანგარიშზე 32 ქულაა. „მაიამიმ" გაიმარჯვა „ვაშინგტონთან" დაპირისპირებაში. შაკილ ონილმა 19 ქულა



მოაგროვა და 11-ჯერ მოხსნა ბურთი ფარიდან. მასზე უფრო აქტიური უეიდი გამოდგა, რომელმაც 40 ქულას მოუყარა თავი.

„ლეიკერსმა" კობი ბრაიანტის ბრწყინვალე თამაშის წყალობით 113:107 „ნიუ ორლეანს" მოუგო გასვლით შეხვედრაში. ბრაიანტის ანგარიშზე 40 ქულაა. **გუშინდელი სხვა შეხვედრები:** „სიეტლი" — „მემფისი" 74:99, „ჰიუსტონი" — „ინდიანა" 103:99, „იუტა" — „მინესოტა" 96:93, „მილუოკი" — „საკრამენტო" 116:123, „ტორონტო" — „კლივლენდი" 97:98.

## შაკილ ო'ნილი გაოცებულია

ნბა-ს კლუბ „მაიამის" ცენტრფორვარდი შაკილ ო'ნილი მიიჩნევს, რომ აშშ-ის ნაკრების წინასწარ შემადგენლობაში „ფილადელფიას" გამთამაშებლის ალენ აივერსონის არშეყვანა ქვეყნის კალათბურთის ფედერაციის დიდი შეცდომაა.

„ეს კოშმარია, – აღნიშნავს შაკილი, – აივერსონი ნბა-ში ერთ-ერთი საუკეთესო გამთამაშებელია. ის ნაკრებს ძალიან სჭირდება".

აქვე გაგაცნობთ იმ კალათბურთელთა სიას, რომლებიც აშშ-ის ნაკრების წინასწარ შემადგენლობაში არიან შეყვანილნი: კარმელო ენტონი, ლებრონ ჯეიმსი, ლამარ ოდომი, შონ მერიონი, ამარე სტუდემაიერი, დუეინ უეიდი, კობი ბრაიანტი, ჯილბერტ არენასი, შეინ ბატიე, შონსი ბილაპსი, კრის ბოში, ბრიუს ბოუენი, ელტონ ბრენდი, დუაიტ ჰოვარდი, ანტაუნ ჯეიმისონი, ჯო ჯონსონი, ბრედ მილერი, კრის პოლი, პოლ პირსი, მაიკლ რედი და ლიუკ რიდნერი, ჯი რედიკი, ადამ მორისონი.

## კვიმატი ობიექტივი



## ბორგი ჯილდოებს აუქციონზე ყიდის?

ჩოგბურთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სახელოვან შვედ ჩოგბურთელს ბიორნ ბორგს გადაწყვეტილი აქვს უიმბლდონზე მოპოვებული ჯილდოები ლონდონის „ბონემსის" აუქციონზე გამოიტანოს. ამ აუქციონზე, რომელიც ივნისში გაიმართება, წარმოდგენილი იქნება უიმბლდონზე მოგებული 5 თასი, რომელიც ბორგმა 1976-1980 წლებში მოიპოვა; ასევე, მისი ორი ჩოგანი, რომლითაც ლეგენდარულმა ჩოგბურთელმა არანაკლებ სახელოვანი რუმინელი ჩოგბურთელის ილიე ნასტასესა (1976 წლის ფინალი) და ექსცენტრიული ჯონ მაკინროის ( 1980 წლის ფინალი) დამარცხება შეძლო.

საერთო ჯამში, ბორგმა უიმბლდონი ზედიზედ ხუთჯერ მოიგო. ამ რეკორდის მოხსნა დღემდე ვერავინ შეძლო, მათ შორის, ვერც სამპრასმა, რომელსაც უიმბლდონი შვიდჯერ აქვს მოგებული, მაგრამ ეს მან მიყოლებით ვეღარ მოახერხა.

„ბონემსის" ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აქამდე უიმბლდონზე მოგებული ჯილდოები აუქციონზე არავის გამოუტანია და ამიტომ, ამ ნივთების შეფასება ცოტათი გაჭირდა. თუმცა, მიახლოებითი თანხა მაინც დასახელდა. ითქვა, რომ ვერცხლის მოოქროვილი თასებისა და ბორგის ორი ჩოგნის ფასი 200-დან 300 ათას ფუნტ სტერლინგს შორის მერყეობს.

„გასაგებია, რომ ამ ჯილდოებთან განშორება ძნელია. ისინი ხომ იმ დროს დახარჯულ ფიზიკურ თუ ემოციურ მონდომებას განასახიერებენ, რომლითაც უიმბლდონზე ხუთჯერ გამარჯვება მოვახერხე. მაგრამ მე ჩემი ახლობლების მყარი და გრძელვადიანი ფინანსური უზრუნველყოფა მჭირდება", – განაცხადა ჩოგბურთელმა.

საჩოგბურთო კარიერის დასრულების შემდეგ ბორგი სერიოზული პრობლემების წინაშე არაერთხელ დადგა. ის მოდური ტანსაცმლის კომპანია, რომელიც მან დააარსა, გაკოტრდა. პირად ცხოვრებაშიც არ გაუმართლა – მას ორჯერ დაენგრა ოჯახი. გარდა ამისა, მან საკუთარი ქვეყნის საგადასახადო ორგანოებთან ხანგრძლივი სასამართლო პროცესი წააგო და კოკაინის მოხმარებაშიც რამდენჯერმე იქნა მხილებული.

ამით აიხსნება ის ფინანსური პრობლემები, რომელიც ბიორნ ბორგს შეექმნა და რომელმაც ის აიძულა საკუთარი შრომით მიღწეული ჯილდოები აუქციონზე გასაყიდად გამოეტანა.

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**10 მარტი, პარასკევი**

HTB плюс спорт. „ჰარმონიის ფორმულა" (11.25). ჰოკეი. ნჰლ-ის ჩემპიონატი. „დეტროიტი" — „ლოს ანჯელესი" (12.25). სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასის ეტაპი (14.40, 0.00). კვირის მიმოხილვა (15.25). ჭადრაკი. ლინარესის სუპერტურნირი (16.10). „მსოფლიო სიჩქარე" (16.40). კალათბურთი. ნბა-ს მატჩების მიმოხილვა (17.25). ფრენბურთი. გადაცემა „ექსვი ექსზე" (17.55). ტაილანდური კრივი (18.25). „ბურთი და ფარი" (21.45). ფრისტაილი (22.30). მძლეოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი მოსკოვში (23.00). „ნოკაუტი" (0.45). „სპორტული გლობუსი" (1.35). EUROSPORT. მძლეოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი მოსკოვში (11.30, 17.00, 23.15). ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგის მატჩები გამეორებით (14.00, 16.00, 1.00). ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალის კენჭისყრა (15.15). ველოსპორტი. პროტური. პარიზი — ნიცა (17.30). თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომა (20.00). თხილამურებით რბენა. მსოფლიო თასი (21.45). ფეხბურთი. ევროპის 24 საუკეთესო კლუბი (22.45). ექსტრემალური სპორტი (2.30). „ევროსპორტის" ახალი ამბები (3.00).

**11 მარტი, შაბათი**

**საქართველოს ტელევიზია. საზოგადოებრივი არხი.** რაგბი. ევროპის ერთა თასი. საქართველო — პორტუგალია (14.00). **რუსთავი-2.** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (18.30). **„მზე".** ფეხბურთი. ინგლისის პრემიერლიგა. „ჩელსი" — „ტოტენჰემი" (16.45). HTB плюс спорт. მძლეოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი მოსკოვში (11.25, 22.00). ჰოკეი (12.25). სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასის გათამაშება (14.40). ფრენბურთი. ქალები. ტოპ-გუნდების თასის გათამაშება (15.55, 18.25). ჭადრაკი. ლინარესის სუპერტურნირი (20.45). ჰოკეი. ნჰლ-ის ჩემპიონატი. „ფილადელფია" — „ბუფალო" (23.00). EUROSPORT. მძლეოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი (11.30, 17.15, 20.00). ბიათლონი. მსოფლიო თასი (13.15, 22.00).

თხილამურებით რბენა. მსოფლიო თასი (15.00). ველოსპორტი. პრო-ტური. პარიზი — ნიცა (19.00). კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება (0.00). ექსტრემალური სპორტი (2.00). „ევროსპორტი". ახალი ამბები (3.00).

**12 მარტი, კვირა**

**საქართველოს ტელევიზია. საზოგადოებრივი არხი.** კალათბურთი. საქართველოს თასის გათამაშების ფინალი (15.00). HTB плюс спорт. მძლეოსნობა. მსოფლიო ჩემპიონტი მოსკოვში (11.20, 23.30). ჰოკეი. ნჰლ-ის ჩემპიონატი. „ფილადელფია" — „ბუფალო" (12.30). ფრენბურთი. ტოპ-გუნდების თასის გათამაშება (15.55), „ნოკაუტი" (17.50). ფრენბურთი (18.25). „დიდი რინგი" (20.30). ფრისტაილი (23.45). ჭადრაკი. ლინარესის სუპერტურნირი (0.15). „სპორტული გლობუსი" (0.45). ტაილანდური კრივი (1.35). EUROSPORT. მძლეოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი (11.00, 18.00). სათხილამურო სპორტი (12.30). ბიათლონი (13.30). თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი (15.30). ველოსპორტი (16.30). სუმო (0.00).

## ბრიუსტერი: „ტაისონი, ჰოლიფილდი, ლიუისი... ისინი იყვნენ, ახლა კი მე ვარ"

პირველ აპრილს გაიმართება ვბოს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონის, სუპერმძიმეწონოსან მოკრივე ლეიმონ ბრიუსტერის ორთაბრძოლა ბელორუს სერგეი ლიახოვიჩთან. ამასთან დაკავშირებით გაიმართა პრესკონფერენცია, რომელზედაც ბრიუსტერმა განაცხადა: „მინდა, რომ ჩემპიონად მთვლიდნენ არა მხოლოდ ამერიკაში, არამედ მთელ მსოფლიოში. ეს ნიშნავს იმას, რომ ნებისმიერ მეტოქეს ნებისმიერ ადგილზე უნდა შეხვდე და დაამარცხო. მე ყველაფერს გავაკეთებ გამარჯვებისათვის. არ ვამბობ, რომ დიდი მოკრივე ვარ. ტაისონი, ჰოლიფილდი, ლიუისი... ისინი იყვნენ – ახლა კი მე ვარ. ჩემი ძალა უნდა დავამტკიცო".

## კროსვორდი

**თარაზულად:** 1. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი, 8. რუსი ჩოგბურთელი ქალი, 10. მოკლე სპორტული შარვალი, 11. ძალოსნური ორჭიდის პროგრამა, 12. ვეტერანი უკრაინელი ფეხბურთელი, იოჟეფ ... 14. კეთილი ნების თამაშების (1990) მასპინძელი ქალაქი, 16. ახლო წარსულში თბილისის საფეხბურთო კლუბი, ამ სახელით დარჩა სტადიონი, 17. ფრანგი ვეტერანი ჩოგბურთელი, 18. მშვილდით სასროლი, 20. ლეგენდარული ქართველი ფალავანი, აწ განსვენებული, 22. საფეხბურთო მწვრთნელ შუშაკის სახელი, 23. წყალში ხტომაში ოლიმპიური პრიზიორის, ქართველი ქალის სახელი, 25. ილეთი ანუ... 26. ვეტერანი ირლანდიელი ფეხბურთელი, ჯორჯ ... 27. სპორტულ ტანვარჯიშში ოლიმპიური (2000) ჩემპიონი გუნდურ პირველობაში, 28. საავტომობილო სპორტის საერთაშორისო ფედერაცია შემოკლებით, 29. ავიამოდელიზმში სასპარეზო სივრცე.



**შვეულად:** 1. „მილანის" მეკარე, 2. არგენტინელი ფეხბურთელი, ამჟამად მწვრთნელი, 3. მერანი, ცხენი... 4. ინგლისური სიგრძის საზომი ერთეული, 5. საფრანგეთის სარაგბო კლუბი, 6. ევროპის 1964 წ. ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი შოტლანდიიდან, 7. მძლეოსნობაში წინალობა, ანუ... 9. უნგრეთის ცნობილი ვეტერანი ფეხბურთელი, ფლორიან ... 12. სოხუმელი ვეტერანი სომეხი ფეხბურთელი, მწვრთნელი, 13. საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი, 14. ლეგენდარული ავტომრბოლი, აირტონ ... 15. ფალავან კურტანიძის ნათლობის სახელი, 19. ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონი ქვეყანა, 20. ჩოგბურთის მოედანი, 21. კინის სახელი, 25. ცხენოსნობის საერთაშორისო ფედერაცია.

მოამზადა ნოდარ ჯაჯვაძე

## საჭადრაკო ამოცანა

ი. გორბატენკო
„შახმატნოე ობოზრენიე"
(1987 წ.)



შამათი 2 სვლაში

№17-ში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა: 1. ლc5!
1..... a3 2. კc8X

## წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 2. მთა, 6. თსუ, 8. იორღა, 9. ნოკაუტი, 10. რუი, 11. „გორდა", 15. „ლილი", 16. დალაქიანი, 17. ბადრო, 19. კროლი, 21. სალო, 25. ჩოჩიშვილი, 27. „ამირანი", 28. „იავა", 29. ფლო, 30. „ოლიმპიკი".

**შვეულად:** 1. ლოტო, 2. მარადონა, 3. ანი, 4. „ტაუ", 5. სტუ, 7. სეული, 11. გაბელია, 12. „როდა", 13. სქოლიოზი, 14. ფაი, 15. ლი, 18. გო, 20. რავა, 22. „ლანსი", 23. „კიევი", 24. ფიცი, 26. ლელო.

## თარიღები

### დაიბადნენ:

**10 მარტი**

**იუპ დერვალი** (1927) — გერმანელი საფეხბურთო მწვრთნელი, რომელმაც ქვეყნის ნაკრებს ევროპის ჩემპიონის ტიტული მოაპოვებინა 1980 წელს.

**ზეპ ბლატერი** (1936) — ფიფას პრეზიდენტი.

**ტონი პოლსტერი** (1964) — ავსტრიელი ფეხბურთელი.

**პაველ სრნიჩეკი** (1968) — ჩეხი ფეხბურთელი. **შენონ მილერი** (1970) — ამერიკელი ტანმოვარჯიშე, ოლიმპიური ჩემპიონი.

**11 მარტი.**

**საგიდ მურთაზალიევი** (1974) — რუსი მოჭიდავე მსოფლიოს, ევროპისა და ოლიმპიური ჩემპიონი.

**12 მარტი**

**პატრიკ ბატისტონი** (1957) — ფრანგი ფეხბურთელი, ევროპის 1984 წლის ჩემპიონი.

**ანდრეას კეპკე** (1962) — გერმანელი ფეხბურთელი,

**ხერარდ ლოპესი** (1979) — „ბარსელონას" ნახევარმცველი.

**ლიუ სიუანი** (1979) — ჩინელი ტანმოვარჯიშე, 2000 წლის ოლიმპიური ჩემპიონი.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 98-23-94, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX. ელექტრონული ფოსტა: lelosport2005@yahoo.com